პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 143 (11147) | ოთხშაბათი, 25 ივნისი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა კავშირ-ნეპალის ერთობლივი კომუნიკე (1-ლი გვერდი).

ნეპალის მეფე მოსკოვში (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა მეხუთე ყრილობისადმი (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა მეხუთე ყრილობა (1-ლი გვერდი).

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის (1-ლი გვერდი).

მეტი ძროხა 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე (მე-2 გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ მიიღო პოლ რეინო (მე-2 გვერდი).

ლენინური კომკავშირის 40 წლისთავის შესახებ. — ვ. ჭორთუა, დ. აბესაძე. — შრომა, [illegible] ჩინებული (მე-2 გვერდი).

ქიმიური ელ[illegible]ლი განვითარებისათვის. — [illegible] — ბარიტის საბადოებში (მე-2 გვერდი).

ა. ლორთქიფანიძე. — ჩვენი სამშობლოს ბუნების ღვაწლმოსილი მკვლევარი (მე-3 გვერდი).

ა. ხუჭუა. — გამომძალველები მკაცრად უნდა დაისაჯონ (მე-3 გვერდი).

არჩევნები სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში (მე-4 გვერდი).

საქართველოს სახვითი ხელოვნების შემოქმედებითი აღმავლობისათვის

ხელოვნების მოღვაწეების, საბჭოთა მხატვრების შემოქმედებით შრომას საპატიო ადგილი უჭირავს კომუნისტური საზოგადოების მშენებელი საბჭოთა ადამიანების საერთო შრომაში. საბჭოთა მხატვრებმა შექმნეს ბევრი მკაფიო და ნიჭიერი ნაწარმოები, რომლებშიც აღბეჭდილია ხალხის ისტორიული გზა, მისი გმირობის სიდიადე. სოციალიზმის ქვეყნის მხატვრები შთაგონებული არიან თანამედროვე ეპოქის ყველაზე მოწინავე იდეებით — კომუნიზმის იდეებით. ხალხთა მეგობრობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილური საფუძველია, რომელიც ასაზრდოებს საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებას.

კომუნისტური პარტია მოუწოდებს მხატვრებს, ისე როგორც ხელოვნების სხვა მუშაკებს, იცხოვრონ ცხოვრების სიმართლის გზით, შთაგონება ჰპოვონ ხალხის — ახალი ცხოვრების შემოქმედის გმირულ ბრძოლაში, განუყრელად იყონ დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, მართლად ასახონ სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრე და მრავალფეროვნება, მკაფიოდ და დამაჯერებლად უჩვენონ საბჭოთა ხალხის დიდი გარდამქმნელი საქმიანობა, მის მისწრაფებათა და მიზანთა კეთილშობილება, მაღალი მორალური თვისებები.

საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებისათვის, კომუნისტური პარტიის თანმიმდევრულ მზრუნველობის, კულტურის მოღვაწეთადმი გულისხმიერი დამოკიდებულების ახალი მკაფიო მაგალითია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ოპერების „დიადი მეგობრობის“, „ბოგდან ხმელნიცკისა“ და „მთელი გულით“ შეფასებაში დაშვებული შეცდომების გასწორების შესახებ“.

ამ ისტორიულ პარტიულ დოკუმენტს უდიდესი წარმმართველი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მუსიკალური შემოქმედებისათვის, არამედ მრავალეროვანი საბჭოთა ხელოვნების და ლიტერატურის ყველა დარგის განვითარებისათვის, მათ შორის სახვითი ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის.

მთელი ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის სახვითი ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართველ მხატვართა შემოქმედებას. ამის მკაფიო მაგალითი იყო ქართული სახვითი ხელოვნების სადეკადო გამოფენა მოსკოვში, რომელიც შეფასებულ იქნა როგორც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა დედაქალაქის სამხატვრო ცხოვრებაში.

მოსკოვში ღრმად, პრინციპულად იქნა განხილული ქართველი მხატვრების — ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების გამოჩენილი ოსტატებისა თუ ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრების ნამუშევრები. დედაქალაქის ხელოვნებათმცოდნეებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს სახვითი ხელოვნების მუშაკთა ოსტატობა, აქტიურად გამოვლინდა მათი მისწრაფება ღრმად ჩასწვდნენ ადამიანის სულიერ სამყაროს, სრულყოფილად შეასახონ ხორცი თავიანთ ჩანაფიქრს.

ქართული სახვითი ხელოვნების დიდი ზრდის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ მისი თვალსაჩინო წარმომადგენლები უ. ჯაფარიძე, ს. ვირსალაძე, ს. ქობულაძე, ვ. თოფურიძე არჩეული არიან სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიაში.

მიუხედავად მთელი რიგი წარმატებებისა, რომელიც უკანასკნელ წლებში მოიპოვეს ყველა დარგის ქართველმა მხატვრებმა, მათს მუშაობას სერიოზული ნაკლიც ახასიათებს. ჯერ კიდევ ცოტაა ნაწარმოები, რომელიც დიდი მხატვრული ძალით ასახავდეს საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრებასა და კულტურას, მათს ბრძოლას კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. იშვიათი როდია უფერული, დაბალ პროფესიულ დონეზე შესრულებული ტილოები. ზოგიერთი ახალგაზრდა მხატვრის თემატიკა შეზღუდულია, ემჩნევათ გატაცება ისტორიული ფერწერით. ქართველ მხატვართა შემოქმედებაში სრულყოფილად არ არის ასახული მუშათა კლასის, გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის ცხოვრება და შემოქმედებითი შრომა, მათი მდიდარი სულიერი სამყარო.

ეს ნაკლოვანებანი, ცხადია, მცირე იქნებოდა, რომ საქართველოს მხატვართა კავშირს, მის გამგეობას ორგანიზებულად წარემართა მხატვართა შემოქმედებითი შრომა, განემტკიცებინა მხატვართა კავშირი ცხოვრებასთან, განუხრელად ეზრუნა მხატვართა იდეური აღზრდისა და პროფესიული დაოსტატებისათვის. ამ მხრივ ინიციატივას ვერც მხატვართა კავშირის პარტიული ორგანიზაცია იჩენდა. ამიტომ გახდა იშვიათი მოვლენა დისკუსიები პრინციპულ თეორიულ პრობლემებზე, ჯანსაღი კრიტიკა და თვითკრიტიკა, შეხედულებათა და აზრთა ბრძოლა. ამან, რა თქმა უნდა, საგრძნობლად შეასუსტა შემოქმედებითი აქტივობა.

დღეს იხსნება საქართველოს მხატვართა IV ყრილობა. ეს არის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ქართველ მხატვართა ცხოვრებაში. ყრილობაზე უნდა გაიშალოს პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა, დაისახოს ქართული სახვითი ხელოვნების შემოქმედებითი აღმავლობის გზები და ამოცანები.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სოციალისტური რეალიზმი, რომელიც მოითხოვს სინამდვილისა და მისი რევოლუციური განვითარების მართალ, ისტორიულად კონკრეტულ ასახვას, შეუთავსებელია გაყინულ დოგმებთან და სქემებთან, იგი ფართო გასაქანს აძლევს შემოქმედებითი ინდივიდუალობის გაბედულ გამოვლინებას, ფორმებისა და ჟანრების მრავალფეროვნებას. „ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ამოცანა, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში საბჭოთა მხატვრების სრულიად საკავშირო ყრილობისადმი, — იყო და არის მაღალმხატვრულ თემატურ ნაწარმოებთა შექმნა, რომლებშიც დიდი საზოგადოებრივი შინაარსი შეხამებული იქნება ფორმის სრულყოფასთან. შესრულების გამომსახველობასა და ოსტატობასთან“.

ეჭვი არ არის საქართველოს მხატვართა IV ყრილობა თავის მუშაობას წარმართავს იმ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით, რომელიც ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა დაუსახეს სახვითი ხელოვნების მუშაკებს თავიანთი პროფესიული ოსტატობის ასამაღლებლად, კომუნიზმის დიადი ეპოქის შესაფერისი მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად.

საბჭოთა კავშირ-ნეპალის ერთობლივი კომუნიკე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის მოწვევით ნეპალის მეფე სუსტაშრი გირირაჯ ჩაკრაჩუდამანი ნარანარაი- ანეტიადი ბიბიდჰა ბირუდჰაბალი ბირაჯამანამანონტა ოჯაშუი რაჯანია პროჯუალა ნეპალტარა აიტეჯაშუი ტრიბჰუბანა პრაჯატანტრა შრიპად ომ რამპატ ატისუბიჯნტატ ტრიშაგტიპატა ატიპრაბალა გორკაპადაშინაბახუ შრიმან მაჰარაჯადირაჯი შრი შრი შრი მაპარაჯ მაპენდრა ბირ ბიქრამ შაჰ დევა მაპადხიპათი ფელდმარშალი ტახტა ჯარბოჩა მთავარსარდალი ჯუნტ ბაპადურ შაჰ ბაპადურ შამერ ჯუნგ სადა სამარ ბი ჯაინამ და ნეპალის დედოფალი რატნა რაჯია ლაქშმი დევი შაპი სახელმწიფო ვიზიტით ეწვივნენ საბჭოთა კავშირს.

მოგზაურობის დროს ნეპალის მეფე და დედოფალი გაეცნენ რუსეთის სფსრ, უკრაინის, სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კულტურული და ეკონომიური ცხოვრების მრავალ ასპექტს. საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ნეპალის მეფემ და დედოფალმა დაათვალიერეს მთელი რიგი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ნაგებობანი, ნახეს სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კულტურული დაწესებულებანი, ისტორიული ადგილები და ძეგლები ქალაქებში მოსკოვში, კიევში, სტალინგრადში, სოჭში, ერევანსა და თბილისში; ისინი შეხვდნენ და ესაუბრნენ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მუშებსა და კოლმეურნეებს.

ნეპალის მეფეს პქონდა შეხვედრები და საუბრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვთან და საბჭოთა კავშირის სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებთან. ამ საუბრებისა და მოლაპარაკების დროს, რომლებიც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, მოხდა აზრთა გაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და ნეპალის სამეფოს ურთიერთობა მუდამ იყო გულწრფელი და მეგობრული და რომ ეს ურთიერთობა ემყარება მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპს, სახელდობრ:

1. პატივი სცენ თვითეული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს;
2. უზრუნველყონ თავდაუსხმელობა;
3. არ ჩაერიონ ერთიმეორის საშინაო საქმეებში, ეკონომიური, პოლიტიკური ან იდეოლოგიური ხასიათის რა მოტივიც უნდა იყოს;
4. უზრუნველყონ თანასწორობა და ურთიერთსარგებლობა;
5. უზრუნველყონ მშვიდობიანი თანაარსებობა.

ორივე მხარემ ერთმანეთს გაუზიარა აზრი არსებული საერთაშორისო ვითარების შესახებ და გამოთქვა ერთსულოვანი რწმენა, რომ სასურველია კოლექტიური ღონისძიებანი, რათა შენელდეს არსებული საერთაშორისო დაძაბულობა, რომელიც კვლავ რჩება მთელი მსოფლიოს ხალხთა შეშფოთებისა და უიმედობის წყაროდ.

ორივე მხარემ გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ საჭიროა უარყოფილ იქნას ომი როგორც სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტი, და დაადასტურა თავისი მისწრაფება საყოველთაო მშვიდობისა და მეგობრობისადმი, რომლებსაც ესოდენ არსებითი მნიშვნელობა აქვთ კაცობრიობის პროგრესისა და აყვავებისათვის. ნეპალის მეფემ აღნიშნა, რომ ნეპალი მუდამ მიესალმებოდა დიდი სახელმწიფოების ღონისძიებებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, და რომ საბჭოთა კავშირის ინიციატივა ამ მიმართულებით კმაყოფილებით იქნა აღნიშნული.

მხარეებმა აგრეთვე კვლავ დაადასტურეს დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლება იყოს წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ორივე მხარემ განაცხადა, რომ ისწრაფვის ხელი შეუწყოს კულტურული და ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას ორ ქვეყანას შორის. გამართული საუბრების მსვლელობაში ორივე მხარემ განიხილა საბჭოთა კავშირის მიერ ნეპალის განვითარებისათვის ეკონომიური დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობანი. საბჭოთა კავშირი დათანხმდა გაუწიოს ეკონომიური დახმარება და იმედი გამოთქვა, რომ ეს დახმარება ხელს შეუწყობს მეგობარი ნეპალის ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ორივე სახელმწიფოს შესაბამისი უწყებები განაგრძობენ კონკრეტული საკითხების განხილვას სათანადო შეთანხმებათა დადების მიზნით. ისინი დათანხმდნენ, რომ ურთიერთობის ასეთი შემდგომი განვითარება საგრძნობლად შეუწყობს ხელს ორ ქვეყანას შორის უკვე დამყარებული მეგობრული კავშირის განმტკიცებას თვითეულ ამ ქვეყანაში არსებული ცხოვრების წესისადმი სრული პატივისცემით.

ორივე მხარემ გამოთქვა კმაყოფილება მოლაპარაკების შედეგებისა და პირადი კონტაქტების გამო, რომლებიც დამყარდა საბჭოთა კავშირისა და ნეპალის სამეფოს ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეებს შორის. ორივე მხარე მიიჩნია ერთსულოვან დასკვნამდე, რომ ნეპალის მეფის ვიზიტი სსრ კავშირში სამსახურს გაუწევს ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებსა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

ნეპალის მეფემ მიიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ესტუმროს მეგობრული ვიზიტით ნეპალს მისთვის მოხერხებულ დროს, რაც კმაყოფილებით მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ე. ვოროშილოვი

მისი უდიდებულესობა ნეპალის მეფე
მაჰენდრა ბირ ბიქრამ შაჰ დევა

მოსკოვი, 1958 წლის 23 ივნისი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება

სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა მეხუთე ყრილობისადმი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მიესალმებიან სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა მეხუთე ყრილობის დელეგატებს და მათი სახით საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა წევრს.

სამომხმარებლო კოოპერაციის ყრილობა მიმდინარეობს ვითარებაში, როცა საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის დიდებულ პროგრამას, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის, საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის ღონისძიებებმა, რომლებიც ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს, უმაგალითო სიმაღლეზე აიყვანეს ყველა ადგილობრივი ორგანოს ინიციატივა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, უზრუნველყვეს მშრომელთა მილიონიანი მასების კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა წარმოების მართვაში, დამატებითი რეზერვების გამოვლინებასა და ხალხის საკეთილდღეოდ მათს გამოყენებაში.

მძიმე მრეწველობის, როგორც ქვეყნის ეკონომიკის საფუძვლის უპირატეს განვითარებაზე ჩვენი პარტიის მიერ აღებულმა ლენინურმა კურსმა უზრუნველყო სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განუწყვეტელი ზრდა, მეცნიერებისა და კულტურის უმაგალითო აყვავება, საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება. ამ მიმართულებით ჩვენი პარტიის ახალ დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილება ქიმიური მრეწველობის და სინთეზური მასალების ნაკეთობათა წარმოების განვითარებისა და დაჩქარების შესახებ, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გაუქმების შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ.

ამყამად საბჭოთა ხალხი მთელ თავის ძალებს ძაბავს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაჭრისათვის. ამ უდიდეს შემოქმედებითს მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს სამომხმარებლო კოოპერაციაც. არის რა ერთ-ერთი მასობრივი ორგანიზაცია, სამომხმარებლო კოოპერაცია დიდ მუშაობას ეწევა იმისათვის, რომ უზრუნველყოს მეპაიეთა მონაწილეობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მართვაში. მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქალაქსა და სოფელს შორის საბჭოთა ვაჭრობის გაშლასა და ეკონომიური ურთიერთობის განვითარებაში, ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას.

უკანასკნელ ოთხ წელიწადში საცალო საქონელბრუნვა სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში გადიდდა 82 პროცენტით, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებისა და შესყიდვის მოცულობა გაიზარდა ერთიორად და მეტად. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სამომხმარებლო კოოპერაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გაიზარდნენ კოოპერაციული ვაჭრობის ხელმძღვანელობის, ორგანიზატორებისა და სპეციალისტების კადრები. კოოპერაციული ორგანიზაციები უფრო სრულად აკმაყოფილებენ მოსახლეობის მოთხოვნილებას საჭირო საქონელზე, გაუუმჯობესეს მყიდველთა მომსახურება, უფრო ფართოდ ნერგავენ თავისი მუშაობის პრაქტიკაში ვაჭრობის პროგრესულ ფორმებს.

სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაცია აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კოოპერაციულ მოძრაობაში, უცსო ქვეყნების ორგანიზაციებთან ვაჭრობის განვითარებაში, ყველა ქვეყანასთან საბჭოთა კავშირის ურთიერთხელსაყრელ ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებაში, ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის ბრძოლაში.

სოციალისტური ეკონომიკის ყოველმხრივი განვითარება, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების განუწყვეტელი გადიდება, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება განუსაზღვრელ შესაძლებლობას ქმნიან სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობის გაფართოებისათვის.

სამომხმარებლო კოოპერაციას დიდ ამოცანებს აკისრებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გაუქმების შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესისა და პირობების შესახებ.

საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის ღონისძიებებმა, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს და განახორციელეს, ყველა საჭირო პირობა შექმნეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მთლიანი და სახალხოლო პროდუქციის წარმოების სწრაფი ზრდისათვის.

პლენუმმა აღნიშნა, რომ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვანი ზრდისათვის, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის კვების ყველა საჭირო პროდუქტით და მრეწველობის ნედლეულით საკმარისად უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სწორ ორგანიზაციას.

ამასთან დაკავშირებით სამომხმარებლო კოოპერაციამ უნდა უზრუნველყოს დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გაფართოება და დამზადების ხარჯების შემცირება, არ დაუშვას პროდუქციის გაფუჭება და ზარისხის გაუარესება, ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის გასალაშში და ამით ხელი შეუწყოს საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომ ზრდას და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა კვლავაც უნდა განავითარონ და გააუმჯობესონ კოოპერაციული ვაჭრობა, გულისხმიერად მოეკიდონ მშრომელთა მოთხოვნილებასა და საჭიროებას, აამაღლონ მოსახლეობის მომსახურების კულტურა, უფრო სრულად დაკმაყოფილონ კოლმეურნეობათა მზარდი მოთხოვნილება საწარმოო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელზე, დაუცხრომლად აუმჯობესონ სავაჭრო და დამამზადებელი აპარატის მუშაობა. კოოპერაციის კადრები აღზარდონ ხალხის ერთგულად სამსახურის, სახელმწიფო დისციპლინის განუხრელი დაცვისა და ნაკლოვანებათა შეუწყნარებლობის სულისკვეთებით.

კოოპერაციის მუშაკებმა უნდა გამოიჩინონ მეტი მოქნილობა. ოპერატიულობა და მოსაზრებულობა თავის საქმიანობაში. მუდამ უნდა იზრუნონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებისა და კულტურული მოთხოვნილების უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის. საჭიროა უფრო ფართოდ გაიშალოს სასადილოების, საჩაიეების, პურსაცხობების, სარემონტო და სამკერვალო სახელოსნოების, სამრეცხაოების, ბავშვთა დაწესებულებების ქსელი, გაუმჯობესდეს წიგნებისა და კულტსაქონლის ვაჭრობა, უზრუნველყოფილ იქნას ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლის გაყიდვა უშუალოდ საველე ბანაკებში, აგრეთვე მშრომელთა დასვენების ადგილებში.

კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა ზუსტად უნდა დაიცვან კოოპერაციული დემოკრატიის პრინციპები, განამტკიცონ კავშირი მეპაიეებთან, უფრო ფართოდ ჩაებან ისინი მეურნეობის მართვაში და მონაწილეობა მიიღებინონ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების საქმიანობის კონტროლში, განავითარონ ნაკლოვანებათა კრიტიკა და თვითკრიტიკა კოოპერაციის მუშაობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები პირნათლად შეასრულებენ მათს წინაშე მდგომ ამოცანებს და ღირსეულ ადგილს დაიკავებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის საყოველთაოსახალხო ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური
პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭო

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის

წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აგიტატორი ი. ბობოხიძე კოლმეურნეებს აცნობს ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე.
ფოტო პ. ლუცენკოსი. (საქფოტოს ფოტოქრონიკა).

უფრო იმაზებს საკოლმეურნეო დოვლათი

აბაშა. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მშრომელები ამ დღეებში ენერგიულად მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებში, მესიმინდეები ყველა პირობას ქმნიან უხვი მოსავლის მიღებისათვის. ისინი გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას.

— ივნისის პლენუმის დადგენილება,— განაცხადა სოფელ ნორიოს ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თ. თელიამ, — მიმართულია საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისა და კოლმეურნეობათა ეკონომიურად გაძლიერებისაკენ.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, — ამბობს სუჯუნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. გახოკიძე,— დიდ მზრუნველობას იჩენენ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. კოლმეურნეთა სახელით პირობას ვდებ სრულად გამოვიყენოთ ტექნიკა, საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 400 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა, თვითეულ ძროხაზე დავამზადოთ 12 ტონა სილოსი, ჰექტარზე მივიყვანოთ 28 ცენტნერი სიმინდი მარცვლად ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 22 ცენტნერისა.

კაჭრეთელ კოლმეურნეთა ხმა

კაბრეთი. („კომუნისტის“ კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილების გაცნობის შემდეგ სოფელ ჯიმითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. სულავამ თქვა:

— დამზადების გარდაქმნა და ერთიანი ფასების დაწესება ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების გადიდებას კოლმეურნეობაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის უსწრაფესად შექმნას. პლენუმის დადგენილების პასუხად კოლმეურნეთა სახელით პირობას ვიძლევი ნაწვერალზე სიმინდი დავთესოთ 100 ჰექტარზე. საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანოთ 420 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მივიღოთ 1.300 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 900 ლიტრისა. პურეულის მოსავალი უდანაკარგოდ ავიღოთ ათ სამუშაო დღეში.

პლენუმის დადგენილების პასუხად სოფელ ნანიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ყ. ზარაქაშვილმა განაცხადა: — ჩვენ, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ვიმრავლოთ საკოლმეურნეო ხვავი და ბარაქა.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და სოფლად კოოპერაციული ვაჭრობის განვითარების საქმეში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვის ორგანიზაციაში და ამით ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებაში მისი დამსახურების აღსანიშნავად სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციას დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1958 წლის 24 ივნისი.

სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა მეხუთე ყრილობა

23 ივნისს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა მეხუთე ყრილობა.

„ცენტროსოიუზის“ გამგეობის 1954-1957 წლების პეროდის საანგარიშო მოხსენების დასაწყისში „ცენტროსოიუზის“ გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. პ. კლიმოვმა დიდი მადლობა უძღვნა პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას ყრილობისა და სამომხმარებლო კოოპერაციისადმი ყურადღებისათვის, რომელიც გამოთქმულია მისალმებაში.

ჩვენს ქვეყანაში, ამბობს მომხსენებელი, შექმნილია განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობისათვის, რომელიც მუდამ უწყობდა ხელს ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებას ქალაქსა და სოფელს შორის, საბჭოთა ვაჭრობის განვითარებასა და განმტკიცებას. სამომხმარებლო კოოპერაცია ამყამად აერთიანებს 35 მილიონზე მეტ კაცს. კოოპერაციის წევრები დიდ აქტიურობას იჩენენ თავიანთი კოოპერატივების საქმეების მართვაში.

ამხ. კლიმოვმა აღნიშნა, რომ საჭიროა შემდგომ გაფართოვდეს სამომხმარებლო კოოპერაციის პირდაპირი კავშირურთიერთობა მრეწველობასთან.

დიდი ყურადღება დაუთმო ამხ. კლიმოვმა სამომხმარებლო კოოპერაციის დამზადებითს საქმიანობას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილება სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გაუქმების შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ ხელს შეუწყობს დამზადებისა და შესყიდვის კიდევ უფრო წარმატებით განხორციელებას.

მომხსენებელმა ილაპარაკა სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის საერთაშორისო კავშირურთიერთობაზე.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა გ. ა. ბოკოვის მოხსენება „ცენტროსოიუზის“ 1958 წლის 1 იანვრისათვის ბალანსის დამტკიცების შესახებ, აგრეთვე „ცენტროსოიუზის“ სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება და დასკვნა

მეჯი ძროხა 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე

ამ დღეებში საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს საკითხი „რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოზარდეულის შენარჩუნებისა და ძროხის სულადობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ და მიიღეს სათანადო გადაწყვეტილება.

საქართველოს ყველა რაიონში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის.

რესპუბლიკაში ცოტა როდია მეურნეობები და რაიონებიც კი, რომლებიც წარმატებით ირთმევენ თავს მათ წინაშე დასახულ ამოცანებს. გურჯაანის, ასპინძის, ქუთაისის, წყალტუბოს, წულუკიძის, ვანის, საჩხერის, ტყიბულის, აბაშის რაიონები გზავნიან პატაკებს ხორცის, რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ნახევარი წლის გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ.

მოწინავე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წარმატებებს აღწევენ როგორც პირუტყვის კვებისა და მოვლის გაუმჯობესების გზით, ისე 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე ძროხის სულადობის მნიშვნელოვანი გადიდების მეოხებით.

მაგრამ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში მეცხოველეობის განვითარების მხრივ საქმე მთლად კარგად ვერ არის. მაგალითად, 1958 წლის 1 ივნისისათვის, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, დაშვებულია ძროხის სულადობის მნიშვნელოვანი შემცირება, რამაც ბევრ მეურნეობაში რძის წარმოების შემცირება გამოიწვია. საღეჭე სულადობის განსაკუთრებით დიდი შემცირება შეიმჩნევა სიღნაღის, კაჯრეთის, ლაგოდეხის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, გორის, კასპის, ამბროლაურის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონებში.

მსხვილფეხა პირუტყვის სულადობის დიდი შემცირების მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ მთელი რიგი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს დასაშვებად მიაჩნიათ ძროხების, უშობლებისა და დეკეულების დაკვლა.

არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რაიონების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობების გამგეობებს, საბჭოთა მეურნეობებისა და დამხმარე მეურნეობების დირექტორებს აკრძალონ სასოფლო-სამეურნეო არტელებში, საბჭოთა მეურნეობებში, დამხმარე მეურნეობებსა და კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობებში გამრავლებისათვის ვარგისი სადედე სულადობის დაკვლა. იმ შემთხვევებში კი, როცა სხვადასხვა მიზეზით ხდება პირუტყვის გამოწუნება, ძროხების, უშობლებისა და დეკეულების დაკვლა შეიძლება მხოლოდ ზოოვეტერინარული კომისიების ნებართვით, ამასთან გამოწუნების აქტები შემდეგში უნდა დაამტკიცონ მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომებმა.

ამასთან ერთად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი ჯოგის დასაკომპლექტებლად საჭიროა მოეწყოს გამრავლებისათვის ვარგისი ძროხების, უშობლებისა და დეკეულების შესყიდვა კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა ინდივიდუალურ მეურნეობებში.

პარტიის რაიკომები და რაიონული საბჭოების აღმასკომები, კოლმეურნეობათა გამგეობები მოვალენი არიან უზრუნველყონ უშობლებისა და დეკეულების შესაძენად გამოყოფილი კრედიტების სწორად გამოყენება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ მიიღო პოლ რეინო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ 24 ივნისს მიიღო საფრანგეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ეროვნული კრების საფინანსო კომისიის თავმჯდომარე პოლ რეინო, რომელიც თბილისში იმყოფება, და მისი მეუღლე.

მათთან ერთად დარბაზობაზე იყო სსრ კავშირში საფრანგეთის ელჩის მეუღლე ქ-ნი დეკანი.

დარბაზობის დროს გაიმართა საუბარი, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბ. გელდიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი ბ. ა. ჩხეიძე, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ მინისტრი ვ. გ. ქერქაძე, საქდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი დ. გ. მაისურაძე, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. გ. გომელაური, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. მ. ბუაჩიძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ე. ლომიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკი გ. პ. ჩარქეშვილი. (საქდესი).

აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ნახევარი წლის გეგმა

აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, ინდივიდუალურმა ჩამბარებლებმა 20 ივნისისათვის შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა. ხორცის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით, რძისა — 102,6 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება და შესყიდვა გრძელდება.

(საქდესი).

აფხაზეთმა შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის ორი თვის გეგმა

აფხაზეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, იბრძვიან რა სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის, მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს. მათ ვადამდე, 22 ივნისს, 100,3 პროცენტით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების ორი თვის გეგმა.

აფხაზეთის მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს თვის ბოლომდე მოკრეფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 1.000 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. (საქდესი).

ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავის შესახვედრად

შრომასა და სწავლაში წარჩინებული

ახალგაზრდებო, მიბაძეთ ლუიზა კვიკვინიას!

ლუიზა კვიკვინია ჯერ მხოლოდ თოთხმეტიოდე წლისაა, მაგრამ თავის სოფელში მას ყველა კარგად იცნობს. კოლმეურნეობაში რომ იკითხოთ, მოწინავე მეაბრეშუმეთა შორის პირველ რიგში ლუიზას დაგისახელებენ, ხოლო საშუალო სკოლაში მისი სურათი წარჩინებულ მოსწავლეთა შორის არის გამოფენილი. ჩანს, მონდომებამ, სიბეჯითემ და შრომისმოყვარეობამ ერთნაირად იჩინა თავი სწავლაშიც და შრომაშიც.

აბრეშუმის ჭიის მოვლა-პატრონობას ლუიზა პატარაობიდანვე შეეჩვია საკუთარ ოჯახში. ათიოდე წლის გოგონამ უკვე მშვენივრად იცოდა ჭიის გამოკვების ძირითადი აგროწესები და კარგადაც ეხმარებოდა უფროსებს. ამ სამეოდე წლის წინათ მან დედას სთხოვა ერთი პაწია ლასტი ცალკე მიეჩინა მისთვის მოსავლელად. დედა უარზე იყო: „დაშანებე თავი, შენ ახლა ცალკე წამომიწყე მეაბრეშუმეობა“, მაგრამ ბავშვი არ მოეშვა. „დედიკო, შენი ჭირიმე! ვითომ არც გქონია ის ერთი მუჭა პარკი“ — ემუდარებოდა გოგონა და ბოლოს დედამაც დაუთმო.

როგორ განცვიფრდნენ შინაურები და მეზობლები, როცა ნახეს, რომ ლუიზას აბრეშუმმა ხუთიოდე დღით ადრე აახვია პარკი, ისე რომ ერთი ჭიაც არ მომცდარა და არ გაცუდებულა. „ამ გოგომ ახლავე გვაჯობა და აწი რას იზამს“, — იცინოდნენ იმ უბნის მეაბრეშუმე ქალები და აქებდნენ და აგულიანებდნენ გოგონას.

თუმცა ლუიზას რა შეგულიანება უნდოდა! მთელი ბავშვური გატაცებით უყვარდა ეს საქმე. იმავე ზაფხულში ორი გრამი მეორე მოსავლის ყვითელპარკოვანი ჯიშის აბრეშუმის ჭია გამოკვება დამოუკიდებლად და ორჯერ მეტი გამოსავალი მიიღო, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. შარშან კი 5 გრამ აბრეშუმის ჭია გამოკვება დამოუკიდებლად და ორჯერ მეტი გამოსავალი მიიღო, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. შარშან კი 5 გრამ აბრეშუმის ჭია უკვლიდა ნორჩი მეაბრეშუმე და გეგმით გათვალისწინებული 10 კილოგრამის ნაცვლად 20,8 კილოგრამი ხარისხოვანი პარკი ჩააბარა სახელმწიფოს.

ამ გაზაფხულზე ლუიზა კვიკვინიამ დასავლეთ საქართველოს მოწინავე მეაბრეშუმეთა თათბირში მიიღო მონაწილეობა და აქ თავის უფროს კოლეგებს პირობა მისცა, რომ არა მარტო თვითონ მოიყვანდა პარკის უხვ მოსავალს, არამედ მეაბრეშუმეობის საქმეს შეასწავლიდა და შეაყვარებდა თავის ამხანაგებსაც — ხობის რაიონის სოფელ პირველი მაისის საშუალო სკოლის მოსწავლეებს.

პატარა ქალი თავისი სიტყვის ერთგული აღმოჩნდა. მისი რჩევითა და დახმარებით ბევრმა მისმა ამხანაგმა წელს პირველად გაიდა დამოუკიდებლად აეყვანა მოსავლელად აბრეშუმის ჭია და პარკის კარგი მოსავალიც მიიღო.

ჯერ კიდევ მურის გაჩაყვანამდე ლუიზა გამოცდილი მეაბრეშუმესავით დარბოდა ამხანაგებიდან ამხანაგთან და ფოთხილებდა ყველას: „ბოგოებო, უნდა გახსოვდეთ, დაავადყოფებული ჭიების მკურნალობა არ შეიძლება, ხოლო ჯანსაღი ჭია რომ ბოლომდე ჯანსაღად შევინარჩუნოთ, ამისათვის თავდაპირველად საჭიროა ბინისა და ინვენტარის დეზინფექცია ან, როგორც მეაბრეშუმეები ამბობენ, სანიტარულ-ჰიგიენური დამუშავება“.

ქუთაისის № 1 საბავშვო ბიბლიოთეკა ნორჩი მკითხველების ერთ-ერთი საყვარელი ადგილია, იგი ყოველთვის სავსეა მოფუსფუსე ბავშვებით. მისი წიგნის ფონდი 25 ათას ცალს აღწევს, მაგრადაზეა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები. სურათზე: ქუთაისის № 1 საბავშვო ბიბლიოთეკაში.

ფოტო გ. გერსამიახი.

ლუიზა თვითონ მიდიოდა ყველასთან სახლში. მზეზე გამოატანინებდა ლასტებს, მერე წყალს აადუღებინებდა, შიგ ხუფრის მარილს აურევდნენ და ამ მარილიან მდუღარე წყლით რეცხავდნენ ყველაფერს: ოთახის იატაკს, ჭერს, კარ-ფანჯრებს და, თუ შესაძლებელი იყო, კედლებსაც. ქვითკირის სახლებში კი საჭე ბინებს კირის ხსნარით ათეთრებდნენ ნორჩი მეაბრეშუმეები. შენობის ირგვლივ გულმოდგინედ სწმენდდნენ კარ-მიდამოს ბალახისა და ყვერისაგან და გოგირდს აბოლებდნენ, რომ ჭიანჭველები და თაგვები ახლო ვერ გაჯარებოდნენ სახლს. ბოლოს არც ფორმალინის ხსნარით წამლობას ივიწყებდნენ.

ეს მურის გამოყვანამდე. ხოლო ჭიის გამოკვების დაწყების დროიდან ხომ ერთი წუთითაც არ ტოვებდა ლუიზა ამხანაგებს. მთავარია განუწყვეტელი კვება, ბინაში ნორმალური ტემპერატურისა და ტენიანობის დაცვა... პირდაპირ აოცებდა თანატოლებს მეაბრეშუმეობის საქმის ღრმა ცოდნით.

შრომას და მონდომებას უქმად არ ჩაუვლია. პირველმაისელმა ნორჩმა მეაბრეშუმეებმა ლუიზა კვიკვინიას თაოსნობით წელს რამდენიმე ათეული კილოგრამი ხარისხოვანი აბრეშუმის პარკი მისცეს ქვეყანას. თვით ლუიზამ წელს ხუთი გრამი აბრეშუმის ჭია გამოკვება და 21,8 კილოგრამი საუკეთესო პარკი გამოიყვანა, გეგმა კი მხოლოდ 10 კილოგრამი იყო. —ამ წარმატებით, — ამბობს ლუიზა, — მე ვპირდები შუობლიური კომკავშირის 40 წლისთავს.

აი რატომ აქებენ ლუიზას სოფელში — ახალი გოგონას ქებას ვინ დაიზარებს.

ვ. ქორთუა,
დ. აბესაძე.

ხობის რაიონი.
სოფ. პირველი მაისი.

შუახევის რაიონში

მუშავდება რაიონის ცენტრი

სულ შვიდიოდე წლისაა შუახევი, როგორც რაიონული ცენტრი. ამ მცირე დროში ბევრი რამ გაკეთდა. იქ, სადაც სამიოდე წლის წინათ ადამიანს გავლა გაუჭირდებოდა, მშვენიერი გზატკეცილი და მოედანია, რომელსაც ახლად აგებული ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობა ამშვენებს. იქვე მახლობლად ააგეს კეთილმოწყობილი სასტუმრო, რომლის პირველ სართულზე გახსნილია რესტორანი.

შრომაც იციან და დასვენებაც

რაიონის ცენტრში შენდება კულტურის სახლი, რომელიც წელს გადაეცემა საეკლესიატაციოდ. კულტურის სახლს ექნება დარბაზი 310 მაყურებლისათვის, ლამაზად მოწყობილი ფოიე, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, ოთახები წრეობრივი მუშაობისათვის.

რაიონი დამშვენდება ახალი შენობით. აქ შრომისმოყვარე მშრომელები თავისუფალ დროს კულტურულად დასვენებენ და გაერთობიან. მათ შრომაც იციან და დასვენებაც.

წყაროს წყალი

აჭარის მადლიანი მთები განთქმულია თავისი ცივი წყლებით. მიუხედავად ამისა, შუახეველები დიდხანს განიცდიდნენ სასმელი წყლის ნაკლებობას. წყალსადენი, რომელიც ამ სამიოდე წლის წინათ გაკეთდა, რაიონის მშრომელებს ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ წყალს მდინარე აჭარისწყლიდან იღებდნენ წყალსაქაჩებით.

წყალსადენის გასაყვანად მუშაობა დაწყებულია და უახლოეს ხანში შუახეველებს კარგი სასმელი წყალი ექნებათ.

კოლმეურნეთა და განათლების მუშაკთა მეგობრული კავშირი

კოლმეურნეთა შრომითი ინიციატივით 1956-57 სასწავლო წლისათვის აშენდა 14 სახკოლო შენობა 135 ოთახით, საშუალო სკოლის 10-ოთახიანი ინტერნატი. სოფელ ქიქინძეების შვიდწლიან სკოლასთან მასწავლებელთა საცხოვრებელი 4-ოთახიანი შენობა ააგეს.

დვანში, გოგაძეებში, ჭალაში, მთისუბანში, ოკისსა და სხვა სოფლებში წელს დაწყებულია სკოლების მშენებლობა და გაფართოება. სოფელ ჭვანის საშუალო სკოლასთან კი 10-ოთახიანი ინტერნატი იგება.

კოლმეურნეთა ინიციატივით

კოლმეურნეთა შრომითი დანაზოგებით წელს დაიწყეს სოფელ ახალდაბის კუიბიშევის სახელობის, ქანივრის წულუკიძის სახელობის და კარაპეტის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობების კეთილმოწყობილი კანტორების მშენებლობა.

რ. ჭიჭინაძე.

...

ხამ ძმას ტეფნაძეებს — ილიას, ვლადიმერსა და ბიკენტის კარგად იცნობენ ახალციხელი მეშახტეები. ახალგაზრდა ძმებმა აქ სახელი გაითქვეს ახალციხე-ქვანახშირის № 1 შახტში თავიანთი მუშაობით. ბიკენტი ტეფნაძე ადგილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, ილია კი — საპატიო მეშახტის ნიშნით. 140-150 პროცენტით ასრულებს თავის ყოველდღიურ საწარმოო დავალებას მესამე ძმა — ვლადიმერი.

სურათზე: მეშახტეები ძმები ტეფნაძეები (მარცხნიდან მარჯვნივ) ილია, ვლადიმერი და ბიკენტი სამუშაოდ მიდიან შახტში.

ფოტო ვ. ვახტანგაძისა
(საქდესის ფოტოქრონიკა)



ბაგრა. სანატორიუმი „უკრაინა“. (საქდესის ფოტოქრონიკა).

• • •

წერილი რედაქციას

გადავაქციოთ სალხინო რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტად

სალხინო გეგეჭკორის რაიონის ერთ-ერთი ლამაზი სოფელია. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში სწორედ ეს ადგილი აურჩევია მუდმივ საცხოვრებლად საფრანგეთიდან ჩამოსულ აგრონომიის მოყვარულ მიურატს (ნაპოლეონის ნათესავს და ეკატერინე დადიანის სიძეს), რომელსაც აქ მშვენიერი დეკორაციული ბაღიც გაუშენებია. ამჟამად სალხინოს ბაღის ცენტრში კოლმეურნეობის კანტორაა მოთავსებული, ხოლო მის მომიჯნავე უბნებზე გაშენებულია ვაზის ძვირფასი ჯიშები ოჯალეში და ცოლიკაური.

ამ სოფლის მიდამოებში მრავლად არის უხვწყლიანი ცივი ნაკადული, რომლებშიც კალმახი ბინადრობს. აქვეა მინერალური წყლები, რომელთა შორის გვინდა ყურადღება გავამახვილოთ პირველ რიგში სალხინოს სოფლის ცენტრიდან სამიოდე კილომეტრით დაშორებულ წყაროებზე. აქ ძირითადად ცარცული ასაკის კირქვებისაგან აგებულ მთის ფერდობზე სამ ადგილას გამოდის გოგირდიანი ცივი წყლები. ცალკეული წყაროს სადღეღამისო დებიტი 20 კუბმეტრამდეა.

სამივე წყარო გოგირდ-ქლორმანგანუმიანია. ერთ-ერთ მათგანში იმდენად დიდი რაოდენობით არის გოგირდი, რომ წყაროდან 40-50 მეტრის დაშორებით ივრძნობა გოგირდის ძლიერი სუნი. სალხინოში რამდენიმე ადგილას გამოდის აგრეთვე ქლორკალციუმიანი, ქლორმანგანუმიანი და სხვა სახის წყლები.

აქ საინტერესო გეოლოგიური აგებულებისაა მიწის ქერქიც. სალხინო-ბალდა-აბჰესის მიდამოებში შეიძლება ჟაბურღილებით აღმოჩენილ იქნას ცხელი გოგირდიანი წყლები.

სალხინოდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ერთ-ერთმა ჭაბურღილმა, რომელიც 1955 წელს იყო გაჭრილი, ორიოდე ასეული მეტრის სიღრმეში გახსნა ჰიდრო-კარბონატ-ნატრიუმიანი წყალი საკმაოდ მნიშვნელოვანი დებიტით. წყალი თვითდენით ამჟამადაც გადმოდის.

სალხინოს წყაროები საინტერესოა სამკურნალო თვალსაზრისით და სათანადო გეოლოგიური საძიებო სამუშაოების შემდეგ შესაძლებელია ამ წყაროების დებიტის მნიშვნელოვნად გადიდება. ამისათვის საჭირო იქნება გაყვანილ იქნას რამდენიმე ასეული მეტრი სიღრმის ჭაბურღილი. ამის შემდეგ კი სალხინოს მიდამოები უფრო ხელსაყრელი იქნება რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტის მოსაწყობად. ამისათვის აქ კლიმატური პირობებიც კარგია.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარმა საკურორტო სამმართველომ ყურადღება უნდა მიიქციოს სალხინოს მიდამოებს, ჩაატაროს აქ სათანადო ჰიდროგეოლოგიურ-კურორტოლოგიური ხასიათის სამუშაოები.

სალხინოს მიდამოებში არის აგრეთვე ჭადრების უნიკალური, ერთ კილომეტრამდე სიგრძის უძველესი ხეივანი შარაგზის გასწვრივ და ბუნებრივი გამოქვაბულები. ეს გამოქვაბულები მსგავსად დასავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნისა (ჩეხოსლოვაკია, იტალია, შვეიცარია) სათანადო შესწავლის შემდეგ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იმისათვის, რომ სალხინოს მიდამოები კიდევ უფრო მიმზიდველი გავხადოთ. მაშინ აქაც ათასობით ტურისტი-ექსკურსანტი და ნატურალისტი ჩამოვა.

სათანადო შესწავლის შემდეგ სალხინოს ბაღის გადაკეთება შეიძლება რესპუბლიკური მნიშვნელობის ბოტანიკურ ბაღად.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ დასმული საკითხი გამოხმაურებას ჰპოვებს.

პროფ. მ. ძველაია,
ინჟინერ-გეოლოგი
გ. სილაგაძე.

თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი კონკურსი

ქალაქ თბილისის 1500 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო აცხადებს კონკურსს საუკეთესო პიესის, მუსიკალური და ხელოვნებათმცოდნეობის ნაწარმოების შესაქმნელად.

კონკურსის მიზანია შეიქმნას თემატური პიესები, ხეტჩები, ფილეტონები, რეპრიზები და სხვადასხვა ჟანრის მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებიც ახასიათებენ თბილისის ისტორიას და მის დღევანდელ დღეს.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც პროფესიონალ კომპოზიტორებსა და მწერლებს, ისე არაპროფესიონალ შემოქმედთ. კონკურსში გამარჯვებულ საუკეთესო პიესებზე დაწესებულია შემდეგი პრემიები:

ერთი პირველი პრემია — 30.000 მანეთის რაოდენობით;
ორი მეორე პრემია — 20.000 მანეთის რაოდენობით;
ორი მესამე პრემია — 15.000 მანეთის რაოდენობით.

საუკეთესო საესტრადო ნაწარმოებებზე: მუსიკალურ ფილეტონებზე, ხეტჩებზე, მინიატიურებზე, რეპრიზებზე დაწესებულია შემდეგი პრემიები:

ექვსი პირველი პრემია — 3 ათასი მანეთის რაოდენობით;
რვა მეორე პრემია — 2 ათასი მანეთის რაოდენობით;
ათი მესამე პრემია — 1 ათასი მანეთის რაოდენობით.

საუკეთესო სახის ვოკალურ ნაწარმოებებზე (სიმღერა, რომანსი, ბალადა, ოდა, ჰიმნი) დაწესებულია შემდეგი პრემიები:

ერთი პირველი პრემია — 6.000 მანეთის რაოდენობით;
ორი მეორე პრემია — 4.000 მანეთის რაოდენობით;
ოთხი მესამე პრემია — 2.500 მანეთის რაოდენობით.

საუკეთესო სახის ინსტრუმენტალურ პროგრამულ ნაწარმოებზე, რომლის შინაარსი დაკავშირებული უნდა იყოს ქალაქ თბილისის წარსულთან ან თანამედროვეობასთან და რომელსაც უნდა ჰქონდეს პროგრამა სათაურით, დაწესებულია შემდეგი პრემიები:

ერთი პირველი პრემია — 7.000 მანეთის რაოდენობით;
ორი მეორე პრემია — 5.000 მანეთის რაოდენობით;
სამი მესამე პრემია — 3.000 მანეთის რაოდენობით.

დიდი ფორმის ნაწარმოები: ერთმოქმედებიანი ოპერა ან ბალეტი, კანტატა, სიმფონიური პოემა და სხვა:

ერთი პირველი პრემია — 20.000 მანეთის რაოდენობით;
ორი მეორე პრემია — 15.000 მანეთის რაოდენობით.

კონკურსში გამარჯვებული ერთმოქმედებიანი მუსიკალური დრამატული ლიბრეტოს ავტორს მიეცემა ჯილდო 5.000 მანეთიდან 6.000 მანეთამდე.

კონკურსის პირობები:

1. კონკურსი ეწყობა 2 ტურად.
2. კონკურსზე ავტორები ნაწარმოებებს გზავნიან დახურული კონვერტით და დევიზით. ხელნაწერს იმავე დევიზით უნდა დაერთოს ცალკე კონვერტი, რომელშიც იქნება ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი.
3. საკონკურსო ნაწარმოებებს ავტორები წარმოადგენენ ერთ ეგზემპლარად.
4. კონკურსზე წარმოდგენილი ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
5. ნაწარმოებს ჩაბარების უკანასკნელი ვადაა 1958 წლის 15 სექტემბერი.
6. ნაწარმოებები წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი მისამართით: ზ. რუსთაველის პროსპექტი № 19, ხელოვნების საქმეთა სამმართველო, ქალაქ თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი კონკურსისათვის.
7. კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილება გამოქვეყნებული იქნება პრესაში.

...

ჩვენს რესპუბლიკაში ბარიტის ძირითადი მომხმარებელია ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა. ამ ძვირფასი წიაღისეულის გადამუშავებით აქ ამზადებენ ლიტოპონსა და ლაქსაღებავებს.

ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის სამძლავრის გადიდება, ამასთან ახალი პროდუქციის წარმოების ათვისება, რაც ქიმიური მრეწველობის განვითარების გეგმით არის გათვალისწინებული, ბარიტის მოპოვების შემდგომ გაფართოებას მოითხოვს.

არსებულ საბადოებში ბარიტის მოპოვების გადიდებასთან ერთად მომავალი წლიდან მწყობრში ჩადგება ქარხნის ახალი სამთო რაიონი — ფიციკვარის (ოჩამჩირის რაიონი) ბარიტის საბადო, სადაც წინასწარ ჩატარებული ძიების შედეგად უკვე გამოვლინებულია მაღალხარისხოვანი ბარიტის დიდი მარაგი.

ფიციკვარის საბადოს მშენებლობა უკვე დაიწყო და სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. წელს გაყვანილ იქნება № 1 და № 2 გვირაბები, წელსვე დაიწყება ბარიტის გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობა.

ბარიტის მოპოვების გადიდებისათვის ქარხნის სამთო რაიონებში სისტემატურად ინერგება ახალი ტექნიკა, უმჯობესდება ტექნოლოგიური პროცესები, საექსპლოატაციოდ მზადდება ახალი საბადოები.

ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის

ბარიტის საბადოებში

დღემდე ბევრი სიძნელე იყო გამამდიდრებელი აგრეგატებიდან მადნის გამოზიდვის საქმეში, ეს ოპერაცია მძიმე ფიზიკურ შრომასთან იყო დაკავშირებული. ქარხნისა და კუდაროს სამთო რაიონის მუშაკთა ერთობლივი ღონისძიებით ეს საქმე მოგვარდა. ივლისში აქ დაიდგმება მძლავრი ამხვეტი კონვეიერი.

საექსპლოატაციოდ გადაეცა ე. წ. არდაშელას საბადო. არდაშელას საბადოდან მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე მოეწყო 200 მეტრი სიგრძის საჰაერო-საბაგირო გზა, რამაც დიდად დააჩქარა და გააადვილა ბარიტის გადმოზიდვა. ამავე საბადოს № 1 და № 2 ჰორიზონტებზე კვლავ გრძელდება საექსპლოატაციო ძიება და ბარიტის მადნის ახალი მარაგის გამოვლინება.

ბარიტის მოპოვების გაფართოებისათვის ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს აგრეთვე კიროვ-ჟონეთის საბადოში. ლოკნარის უბანში დასასრულს უახლოვდება № 3 გვირაბის საექსპლოატაციოდ მომზადება. მადნის ახალი მარაგი აღმოჩნდა ამ საბადოს ოკინკილას უბანში, სადაც წელსვე დაიწყება № 3 ჰორიზონტის მომზადება.

ბარიტის მომპოვებლები, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ პარტიის მიერ დასახულ პროგრამას ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის, ძალებს არ იშურებენ ამ ამოცანის განსახორციელებლად. სამთო რაიონებში, საბადოებში, ცალკეულ უბნებში და ცვლებში, გამამდიდრებელ ფაბრიკებში მძლავრი შრომითი აღმავლობაა. მაღალნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან კუდაროსა და ღვედის სამთო რაიონების (უფროსები ნ. რეხვიაშვილი და ა. იამანიძე) კოლექტივები. შრომაში მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ ლენინის ორდენოსნები კიროვ-ჟონეთის საბადოს მბგრეველთა ბრიგადირი შ. ჯანელიძე და ღვედის საბადოს მნგრეველი ვ. სულაბერიძე, რომლებიც 25 წელია ბარიტის მოპოვებაზე მუშაობენ. საწარმოო დავალებებს დიდი გადამეტებით ასრულებენ კუდაროს სამთო რაიონიდან — მნგრეველები პ. ჩიქვილაძე და ვ. პუხაევი, კომპრესორის მემანქანე ფ. კოჩიევი, გამამდიდრებელი ფაბრიკის ბრიგადირი მ. ხუციევი, მაღაროს ცვლის უფროსი გ. სანიკიძე, კიროვ-ჟონეთის საბადოდან — გამმგრეველი ა. ფხაკაძე, გამამდიდრებელი დანადგარების მემანქანე პ. ცნობილაძე, მაღაროს ცვლის უფროსები ძ. კუხიანიძე და დ. ჩეჩელაშვილი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ ლიტოპონის ქარხნის სამთო საამქროების ბარიტის მომპოვებლებმა ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება და იკისრეს სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისათვის — 5 დეკემბრისათვის უზრუნველყონ ბარიტის მოპოვებისა და გამდიდრების წლიური დავალების შესრულება.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ჩვენი სამეცნიერო ბუნების ღვაწლმოსილი მკვლევარი

დღეს სრულდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნიკოლოზ (ნიკო) ნიკოლოზის-ძე კეცხოველის დაბადების 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლისთავი.

მრავალმხრივია ნიკო კეცხოველის როგორც მეცნიერისა და პედაგოგის დამსახურება.

საქართველოს მდიდარი ფლორის შესანიშნავმა მკვლევარმა ნ. კეცხოველმა თავისი დიდიხნის შინაარსიანი მოღვაწეობა საქართველოს მცენარეული სამყაროს ღრმად შესწავლას და ხალხის სამსახურში ჩაყენებას მოახმარა.

ნიკო კეცხოველი დაიბადა გორის მაზრის სოფელ ტყვიავში, მასწავლებლისა და მებაღის ოჯახში.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1918 წელს ნიკო კეცხოველი შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, რომელსაც 1925 წელს ამთავრებს.

1921 წელს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დავალებით ნიკო კეცხოველმა გამოარკვია და შეისწავლა გორის მაზრის მინდვრის კულტურები და სარეველა მცენარეები. მის მიერ შეგროვილ მასალებსა და ჰერბარიუმს მაღალი შეფასება მისცა აკადემიკოსმა პ. ჟუკოვსკიმ (მაშინ თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორმა).

ნიკო კეცხოველის პირველი მეცნიერული შრომები გამოქვეყნდა 1924 წელს სარეველა მცენარეების შესახებ.

ნიკო კეცხოველს 40 წლის მანძილზე დავლილი და შესწავლილი აქვს საქართველოს ყველა კუთხე. მისი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით ჩატარებულია 30-მდე სამეცნიერო-საკვლევი ექსპედიცია და ბევრი ექსკურსია. როგორც საქართველოში, ისე ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებში შეგროვილი მასალების მეცნიერულად დამუშავების შედეგად მან გამოსცა ვრცელი მონოგრაფია „კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში“. მონოგრაფიას დართული აქვს ავტორის მიერ შედგენილი რუკა. მის გამოცემას წინ უძღოდა მთელი რიგი შრომების გამოცემა. ამ შრომებში მან მეცნიერული სიზუსტით განიხილა და პირველმა დაადგინა საქართველოს კულტურულ მცენარეთა ზონალობის, მათი ჩვენში შემოსვლისა და შესაძლებელი რეკონსტრუქციის გზები.

ნიკო კეცხოველი.

* * *

ნიკო კეცხოველმა ბევრი გააკეთა საქართველოში გეობოტანიკის საკვლევ-საძიებო საქმის განვითარებისათვის. მისი ინიციატივით ჯერ კიდევ 1931 წელს ბოტანიკის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა გეობოტანიკური განყოფილება, რომლის ხელმძღვანელობას იგი დღემდე განაგრძობს. გეობოტანიკის ხაზით მას გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მეცნიერული ნაშრომი, რომელთაგან აღსანიშნავია სახელმძღვანელო შრომა „საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები“, აგრეთვე მისი სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ველების წარმოშობის შესახებ“. უნდა აღინიშნოს, რომ ნ. კეცხოველს დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს ტყეებისა და ველების მეცნიერული შესწავლის საქმეში.

მეცნიერულ მუშაობასთან ერთად ნ. კეცხოველი ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა. 1932 წლიდან ნ. კეცხოველი ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრას, ამავე დროს იგი კათედრის გამგეა საქართველოს და თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. აღსანიშნავია მისი მუშაობა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ბოტანიკის კათედრას, აგრეთვე ინსტიტუტის სასწავლო და სამეცნიერო დარგს (1937-1942 წწ.).

ნ. კეცხოველმა თავისი ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობის შედეგად აღზარდა მრავალი ბოტანიკოსი, სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციური მუშაკი, რომელთაგან ბევრს სამეცნიერო ხარისხი აქვს მოპოვებული.

1941 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისას ნ. კეცხოველი არჩეულ იქნა აკადემიის პირველ წევრთა შემადგენლობაში. ამავე დროს იგი თავმჯდომარეობს აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილებას.

1945-53 წლებში ნ. კეცხოველი თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყო.

ნ. კეცხოველი 1941 წლიდან სათავეში ჩაუდგა მრავალტომიან „საქართველოს ფლორის“ გამოცემის საქმეს, რომლის გამოცემა 1952 წელს დამთავრდა. მისი რედაქტორობით გამოიცა აგრეთვე „საქართველოს კულტურული ფლორის“ 4 ტომი.

1926 წლიდან ნ. კეცხოველი საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების გამგეობის წევრია. იგი იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატი, სამჯერ იყო არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. 1945 წლიდან იგი საქართველოს ალპური კლუბის თავმჯდომარე და მისი ხელმძღვანელია. მრავალი წლის მანძილზე იყო უმაღლესი განათლების და სამეცნიერო დაწესებულებათა კავშირის საკავშირო და რესპუბლიკური კომიტეტების წევრი. მეცნიერ მუშაკთა და მასწავლებელთა სახლის გამგეობის თავმჯდომარეა 1938 წლიდან, ხოლო ბოტანიკური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე — 1958 წლიდან.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ნ. კეცხოველის ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ა. ლორთქიფანიძე,
საქართველოს სახელმწიფო-სამეურნეო ინსტიტუტის ბოტანიკის კათედრის გამგე, დოცენტი.

— კულტურის სახლი უსინათლოთათვის —

თბილისის გარეუბან ხოლანლუღში თავმოყრილია მრავალი სასწავლო-საწარმოო წამოწყება, ქურქ-ბეწვეულის, კერამიკის, ხე-ტყის დამმუშავებელი და სხვა სახელოსნოები, სადაც ძირითადად უსინათლოები მუშაობენ. აქვეა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები უსინათლოთათვის. მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი შრომისა და სწავლისათვის. მათთვის ჩამოყალიბებულია სიმღერის, ქორეგრაფიული, დრამატული, და სხვა თვითმოქმედი წრეები.

აქვე მუშაობს წერა-კითხვის შემსწავლელთა წრე, სადაც უსინათლოებს სპეციალური ანბანით—ბრაელის შრიფტით ასწავლიან, უახლოეს ხანში გამოსვლას დაიწყებს ამ შრიფტით დაწერილი მათი ახალი ჟურნალი.

ამას წინათ უსინათლოთა საზოგადოების წევრებმა ძვირფასი საჩუქარი მიიღეს — ხოლანლუღში მათთვის აშენდა კულტურის ახალი სახლი. მისი დარბაზი 340 ადგილიანია. ცალკეა გამოყოფილი ოთახები საწრეო მეცადინეობისათვის. კულტურის სახლს აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც რამდენიმე ათასი წიგნია, მათ შორის 400-ზე მეტია ბრაელის შრიფტით ნაბეჭდი. უსინათლოებს აქვთ აგრეთვე საკუთარი რადიოსტუდია.

ამ დღეებში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა კულტურის სახლი. შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნოადგილემ გ. გაჩეჩილაძემ. შეკრებილთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ხოშტარიამ.

სიტყვებით გამოვიდნენ უსინათლონი: ხოლანლუღის სასწავლო-საწარმოო წამოწყებათა პირველადი ორგანიზაციის ბიუროს თავმჯდომარე მ. გრიშაშვილი, სასწავლო-საწარმოო წამოწყებათა დირექტორი ა. გოგიბერიძე, საკერამიკო საამქროს მუშა ნ. აბლოთია, რომლებმაც უღრმესი მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას ამ ძვირფასი საჩუქრისათვის და აღნიშნეს ვალდებულება, რომ წლიურ გეგმებს გადაჭარბებით შეასრულებენ. მათ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, აგრეთვე მახარაძის რაიონის უსინათლოთა სასწავლო-საწარმოო წამოწყებანი.

ხოლანლუღელებს ძვირფასი საჩუქრის გადაცემა მიულოცეს უსინათლოთა საზოგადოების მოამაგემ, პენსიონერმა გ. ძნელაძემ, ლ. კიზირიამ (აფხაზეთი), გ. ჯაყელმა (მახარაძის რაიონი), ხე-ტყის დამმუშავებელი საამქროს მუშამ შ. გოზალოვმა, პარტიის თბილისის ორგანიზაციის კრიოვის რაიკომის მდივანმა ვ. სირაძემ და სხვებმა.

საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უსინათლოთა საზოგადოების მომღერალთა გუნდებმა (როიალთან იყო უსინათლო კომპოზიტორი ხ. ხაჩიკიანი).

უსინათლოებმა ახალგაზრდა პოეტებმა ვ. ძნელაძემ და გ. რევაზიშვილმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს ფილარმონიისა და თბილისის თეატრების მსახიობებმა.

მ. ინასარიძე.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების კულტურის ახალი სახლი.
ფოტო გ. გოგობიანი.

ფშავის ხეობაში

დუშეთის რაიონში ფშავის ხეობა მეფის რუსეთის დროს ისეთი მივიწყებული კუთხე იყო, რომ კაცი ვერ იფიქრებდა აქ ხალხი ცხოვრობსო.

იმ დროს აქ მხოლოდ ცხენით მოგზაურობა შეიძლებოდა, ხოლო ზოგიერთ ადგილას ცხენს თუ ფრთხილად არ გაატარებდით, შეიძლებოდა უფსკრულში გადავარდნა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე ამ მივარდნილ კუთხეს სერიოზული ყურადღება მიექცა. გაყვანილ იქნა სამანქანო გზა ენინგალიდან ბარისახომდე პიტალო კლდეებში. დღეს ამ ხეობაში მსუბუქი და სატვირთო მანქანები დადის. დღეს ფშავის კოლმეურნეობები რაიონის მოწინავეთა რიგებში დგანან მეცხოველეობის აღმავლობისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. მაღაროს და ჩარგლის კოლმეურნეობაში აშენდა ახალი კლუბ-კინოთეატრის შენობები, რომლებიც ამშვენებს ფშავის ხეობას.

ამას წინათ ასრულდა ჩვენი დიდი ხნის ნატვრა და ფშავის ხეობაში ელიჩის ნათურები გაბრწყინდა.

ალექსი ხუციურაული,
მაღაროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

კონცერტები კოლმეურნეობებში

სტალინირის საქალაქო კულტურის სახლის დირექციამ სოფლად საზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში კოლმეურნეთა კულტურული მომსახურების მიზნით ჩამოაყალიბა აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელსაც ახალგაზრდა მსახიობი ზაურ გასიევი ხელმძღვანელობს.

ბრიგადის საკონცერტო პროგრამაშია ლირიკული სიმღერები, სატირა და იუმორი, სკეტჩები, მხატვრული სიტყვა.

ამ დღეებში ბრიგადამ კონცერტები გამართა ერედვის, კეხვის, ავნევისა და ზნაურის კოლმეურნეობებში. განზრახულია კონცერტები მოეწყოს სოფლების: ვანათის, ქსუისის, ყორნისის, დმენისისა და სხვა კოლმეურნეობებში.

ბრიგადაში აქტიურად მონაწილეობენ ა. ბეგაშვილი, ა. კოპინაშვილი, ი. გრიგორიანი, იზა გრიგორიანი, ს. ბორცვაძე, ლ. ტაბატაძე, ს. ქავთარაძე, თ. მინდიაშვილი, თ. მულდაროვი.

ვ. თედელური.

ქ ო მ ა გ ი

— ფიჭვნარით დაბურულ მწვანე ეზოში ბურთივით მრგვალი გოგონა გამოგოგდა... პატარამ ხის ქვეშ მოიკალათა. თითქმის თავის ტოლა დედოფალა მუხლებზე დაისვა, ანაბანა გადაუშალა და იას ამბის „კითხვას“ მოჰყვა. მერე, თითქოს რაღაც მოაგონდაო, წიგნს თავი ანება. დედოფალა გულაღმა დააწვინა და ფეხებზე წითელი ფეხსაცმელი ჩააცვა. ჩაავცვა თუ არა, ხელში აიყვანა და ეზოში ამაყად იწყო სიარული, დედოფალას უნანავებდა, ვერ იქნა და ვერ დააძინა — თვალი ვერ მოახუჭვინა. მერე სირბილს მოჰყვა, მირბი-მორბოდა, დაკისკისებდა. მისი კისკისი ეზოს გარეთ სოფლის თავში გამოდიოდა.

— ლიდა, ლიდა! ეს რა ჩაგიდენია, ახლავე გახადე ფეხსაცმელი დედოფალას და თვითონ ჩაიცვი, არ დაეცი,—დაჰკივლა ეზოში გამოსულმა ახალგაზრდა ქალმა, როცა შენიშნა, რომ ბავშვმა წაიბორძიკა. მერე დაედევნა და კაბის კალთაში სტაცა ხელი. ასე იქცევა დედა, როცა შვილს რაიმე ფათერაკი მოელის, და ახლაც ეშვს ვერ მიიტანდი, რომ ეს ქალი ბავშვის დედა არ იყო.

ცოტა ხნის შემდეგ ეზო ბავშვების ჟრიამულმა გაავსო. ალაყაფის კართან გოგო-ბიჭები შეჯგუფულიყვნენ. ის ქალი, წეღან პატარებს რომ უწყრებოდა, ახლა მოზრდილ გოგონას უყვავებდა, რომელიც ქოჩორა ყმაწვილია მკერდს მიტმასნოღა და არ შორდებოდა. ქალი იქვე მდგომ ყმაწვილსაც მისწვდა:

— გაიოზ, იცოდე. შენი ცუდი არ გამაგონო... ყმაწვილს გოგო-ბიჭები შემოსეოდნენ, გასაქანს არ აძლევდნენ, სათითაოდ კოცნიდა ყველა.

ეზოში დარჩენილი ბავშვები დიდხანს წოიკობდნენ, ეძახდნენ შარაზე გასულ ყმაწვილებს, რომლებიც დროდადრო მოიხედავდნენ, ხელის ქნევით ემშვიდობებოდნენ შინ დარჩენილებს. ეს ახალგაზრდა ქალი კი შორს გასულ ბიჭებს ისევ მისძახოდა: — ჭკვიანად იყავით, ფრთხილად იარეთ...

ქალის ყოველ წუთს შიშზე და გაფრთხილებაზე უთუოდ იფიქრებდით: ნეტავ როდის უფრო სჭირდება ბავშვს მზრუნველი ხელი: მაშინ, როცა სულ პატარაა, უსუსური, თუ მაშინ, როცა ფეხს აიდგამს და აი ამ გოგონას — ლიდას ტოლი გახდება, ან, როცა წამობზრდება და ანბანით ხელში სკოლისაკენ გაუყვება გზას! შესაძლოა მაშინაც კი, როცა დამოუკიდებელ გზას დაადგება და ოჯახს მოეკიდება.

მშობლის მზრუნველი ხელი, მისი სითბო ყველა ასაკში სანატრელია. მაგრამ ყველას ცხოვრება ერთნაირად როდი ეწყობა! განა ერთი და ორი ატირა ომმა? უდედმამოდ დარჩა ბევრი პატარა. ბავშვებს მზრუნველი სჭირდებოდათ, ქომაგი.

ამ კეთილი საქმის სამსახურში იდგა ბევრი საბავშვო სახლი, მათ შორის ეწერის (სამტრედიის რაიონი) საბავშვო სახლიც. სხვა უდედმამო ბავშვებთან ერთად იმ წელიწადს მათ ომში დაღუპულ მეომართა შვილებიც შეიფარეს. ამათგან ერთი იყო, ფენი, აი ის გოგონა, წეღან რომ მკერდზე ეკვროდა თმაქოჩორა ბაბუკს. მაშინ ის ერთი ციდა იყო და არ იცოდა თავს რა გადახდა. როცა წამოიზარდა, მხოლოდ მაშინ გაიგო, ყური მოჭრა ძმა გყავსო. მას შემდეგ ძიღი გაუკრთა, მოსვენება დაკარგა, როგორ უნდოდა ენახა დაკარგული ძმა, მაგრამ სად იყო, აქამდე არავინ არ იცოდა. ახლა კი იგი მის წინ იდგა.

ცამეტი წელი არ ენახათ ბავშვებს ერთმანეთი. შალვას ჯერაც ახსოვდა თვალგიშერა ფენი. მაგრამ ახლა ძლივს იცნო. გაბადრულიყო, დამშვენებულიყო, ყელზე ალისფერი ყელსახვევი გაეფინაკვა, წყვილი ნაწნავი საქანელასავით ერწეოდა მხრებზე. შალვა კი კუნთმაგარი, გარუჯული იდგა დის წინ. მის მარჯვენას უკვე იმდენი შესძლებოდა, რომ დასთან ხელჩაჭიდული არ მისულიყო, — ჭიელი კაბა ჩამოეტანა.

და-ძმის სიხარულს გარშემო მყოფი ყველა იზიარებდა, ყველაზე მეტად კი გაიოზი. იგი ამათი სიხარულის შუამავალი იყო. ამ აახლში ფენისთან ერთად იზრდებოდა. ფენიზე ადრე დაადგა ცხოვრების გზას, უკვე ტყიბულში მუშაობდა და სწავლასაც ამ ქალაქში აგრძელებდა. მას აქ ძმად გაეხადა შალვა მელაძე, რომელიც მასავით საბავშვო სახლის აღზრდილი იყო. მეგობრის გვარი პირველივე დღიდან აეკვიატა გაიოზს:

...მელაძე, ჩვენს სახლშიც ხომ ცხოვრობს მისი მოგვარე... იმას ძმა ჰყავს დაკარგული. შალვა დას დაეძებს. ეგებ... გაუელვა თავში ყმაწვილს და მოსვენება დაკარგა.

სულმოუთქმელი მოფრინავდნენ ეწერში ბიჭები... ღელავდა შალვა, შიშობდა გაიოზი, ხომ შეიძლება ფენი მელაძე სხვაც იყოს ვინმე? მაგრამ ყველაფერი კეთილად დამთავრდა, შალვა გულში იკრავდა დაკარგულ დას. ფენი მის მკერდზე ქვითინებდა...

გამოთხოვება რაგინდ ხანმოკლეც იყოს, მაინც მძიმეა. ბიჭებსაც უჭირთ აქედან წასვლა. მაგრამ დრო არ იცდიდა: ისინი ახლა იმათ რიგში დგანან, ვისაც ჩვენი ლამაზი ქვეყნის ხარაჩოებზე თითო აგური მოაქვს. ბიჭებს დილით შახტი მიელოდათ, საღამოს — სკოლა.

აღმზრდელები დიდხანს გაჰყურებდნენ მათ შორის გაზრდილს, რომელიც დიდ საქმეზე მიიჩქაროდა, და გული სიამაყით ევსებოდათ. და მართლაც, ვინ უნდა იამაყოს კარგი შვილით, თუ არა დედამ. წელს ეწერის საბავშვო სახლს ოცდახუთი წელი შეუსრულდა. ამ ხნის მანძილზე ბევრი, ძალიან ბევრი სასახელო და სასიქადულო შვილი აღუზრდიათ აქაურ აღმზრდელებს. მათი მზრუნველი ხელი რომ არა, შესაძლოა შალვას ეს დიდი ბედნიერება არა სწვევოდა.

მაგრამ კარგთან ერთად, რა ვუყოთ, ცუდიც რომ არ იმალება? დღევანდელ დღეს ამ სახლში ოთხმოცი ბავშვი იზრდება. მოზრდილ ბავშვს პირველად იმას ჰკითხავენ — როგორ სწავლობო. ამათ რომ ჰკითხოთ, ამ დიდ ოჯახში მხოლოდ ორი ხუთოსანია. რა უშლით ხელს ბავშვებს სწავლაში, იქნებ თვალყური აქლიათ?

...აი, დადიხართ ნათელ, სუფთა ოთახებში. აქ პიონერთა ოთახია, აქ სამკერვალო, სახელოსნო. აქეთ სასწავლო ნაკვეთია, და ხედავთ, რომ აქ ფიქრობენ, სწავლობენ, შრომას ეჩვევიან ბავშვები.

მაგრამ სად არის ბიბლიოთეკა? მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოები როდი კმარა ბავშვებისათვის. წიგნზე არ იზრდება ჩვენი თაობა? წიგნზე უკეთ ვინ უნდა ასწავლოს ცხოვრება ბავშვებს. აგერ, პატარა ლიდამ თავის დედოფალას წიგნი გადაუშალა და ანაბანას „ასწავლის“. სულ მალე ალბათ თვითონ დასჭირდება წიგნები. სახლში კი ერთი რიგიანი წიგნიც არა აქვთ.

ამ გოგონას ახლავე ეტყობა, გონიერი უნდა იყოს: დედოფალას რომ შიშველი ფეხი დაუნახა, თვით გაიხადა და ამას ჩააცვა. ისე მოიქცა, როგორც იქცევიან ნამდვილი დედები. შვილს ყოველთვის უყვარს ასეთი დედა. მაგრამ როგორ ეჯავრებათ ბავშვებს ზღაპარში გაგონილი დედინაცვალი, რომელიც გერს ლუკმას წაართმევს და თავის შვილთან მიარბენინებს. ეს აქაურ ყველა აღმზრდელებზე როდი ითქმის. მაგრამ რა სამწუხაროა, რომ ასეთი „დედინაცვლები“ ამ სახლში მაინც ჰყოლიათ ბავშვებს. ამას თვალნათლივ ხედავს მთელი სოფელი, ხედავენ ბავშვებიც და ასეთ „დედებზე“ გულიც აუყრიათ. ჩივიან — ასეთი „დედები“ არ გვინდაო, და ყურს მაინც არავინ უგდებს ამათ.

მაგრამ ერთი რამ არის ახლა სასიხარულო. ამ სახლის ხელმძღვანელად დიდი ხანი არ არის რაც ჯანღონით სავსე, ენერგიული კაცი შეურჩევიათ. მისი ფიქრები მომავალზე ბევრ რამეს გვიჩვენებათ: იცის, თუ რა არის ბავშვი — თვითონაც ჰყავს შვილი. მშობელმა კი კარგად იცის, რამდენი სიფაქიზე მართებს ბავშვთან. შვილს ნამდვილი დედა სჭირდება. ქომაგი მისთვის ყველა ასაკში სანატრელია. „დედინაცვალი“ კი ამ დიდ ოჯახში, ცხადია, არ გამოდგება.

გულნარა ბახტაძე.

რკინიგზელთა პოლიკლინიკაში

ლისის ქუჩაზე ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის ნათელ დარბაზებში გადავიდა ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის ტრესტის სანიტარული განყოფილების თბილისის საექიმო უბნის პოლიკლინიკა.

პოლიკლინიკას აქვს თერაპიული, ქირურგიული, გინეკოლოგიური, სტომატოლოგიური, კანისა და ვენერიული სნეულების, ბავშვთა სამკურნალო, ნევროპათოლოგიური, ყელ-ყურის და სხვ. კაბინეტები, კლინიკური ლაბორატორია, ფიზიოთერაპიული სამკურნალო, საბაზანო და სხვ.

ახლახან აქ გაიხსნა აკუპუნქტურის (ნემსით ჩხვლეტის სამკურნალო) კაბინეტი. ნემსით ჩხვლეტის მკურნალობას, როგორც ცნობილია, ჩინეთში ხალხურ მედიცინაში უძველესი დროიდან იყენებდნენ. იგი კარგ შედეგს იძლევა ზოგიერთი დაავადების — ნერვული სისტემის ფუნქციონალური მოშლილობის, ეშიაზის, რადიკულიტის, ნევრალგიის, სამწვერა ნერვის ანთების, ჰიპერტონიით დაავადების და ბევრ სხვა შემთხვევაში, თუ დაავადება გამწვავებული არ არის. ნემსით ჩხვლეტის მკურნალობას აწარმოებს რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი ნ. სალაყაია.

პოლიკლინიკის ფილიალები მუშაობენ რამდენიმე ადგილას თბილისში, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხაზებზე. ისინი მომსახურებას უწევენ რკინიგზის მშენებლებსა და მათი ოჯახის წევრებს.

ერთიანი ფრონტი

გამომძალველები უნდა დაისაჯონ

ვაჭრობის ზოგიერთი უღირსი მუშაკი გამომძალვის სხვადასხვა ხერხს მიმართავს — მყიდველს ატყუებს ზომა-წონაში, არ უბრუნებს ხურდას... გამოჩნდნენ „სპეციალისტები“, რომლებსაც არ აკმაყოფილებთ უკვე ცნობილი ხერხები, რადგან მათ „არასაიმედოდ“ და ნაკლებშემოსავლიანად თვლიან. ჯერ-ერთი, მომხმარებელს შეუძლია შეამჩნიოს, რომ 500 გრამის ნაცვლად 400 გრამი კარაქი აუწონეს, მეორეც, უფლება აქვს მოითხოვოს ხურდა. ყველაფერი ეს გაითვალისწინეს გაქნილმა მაქინატორებმა და კიდევ ერთი ახალი მეთოდით „გაამდიდრეს“ მომხმარებელთა მოტყუების, თვალახვევის არსენალი. საქმე ეხება ფასების ხელოვნურად მომატებას.

მომხმარებელს რომ ჰკითხოთ, რა ღირს კილოგრამი კარაქი, გიპასუხებს: 28 მანეთი და 50 კაპიკი. კარაქის ამ ფასის დაკანონებაში „დამსახურება მიუძღვით“ ფასების ხელოვნური მომატების „მეთოდის“ ავტორებს.

მარცხენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 236 მაღაზიაში 9 მაისს მიიღეს 76,2 კილოგრამი პირველი ხარისხის კარაქი, რომელიც ღირს 25 მანეთი და 50 კაპიკი.

— ეს კარაქი არაფრით არ განსხვავდება უმაღლესი ხარისხის კარაქისაგან, ვინ გაგიგებს, რომ უმაღლესი ხარისხის კარაქის ფასში გავყიდოთ? — შეეკითხა მაღაზიის გამგე ნ. სუხიშვილი გამყიდველ ნ. მაღლაკელიძეს.

— ნამდვილად ვერავინ ვერ გაგიგებს, — დაბეჯითებით დაუდასტურა გამყიდველმა, — თვითეულ კილოგრამზე 3 მანეთს ჩამოვრჩებით.

მაქინაციის შესანიღბავად პირველი ხარისხის კარაქი უმაღლესი ხარისხის კარაქის ყუთებში გადააწყეს და გასაყიდად გამოიტანეს. დამახინჯებული ფასში მათ მხოლოდ 10 კილოგრამი კარაქის გაყიდვა მოასწრეს.

მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 2 მაღაზიაში (დირექტორი გ. გაგუა, გასტრონომიული სექციის გამგე გ. ავაქოვი) 28 მარტს მიიღეს 2.006 კილოგრამი პირველი ხარისხის კარაქი. შემოწმების დროს მაღაზიაში ამ ხარისხის კარაქის გაყიდვის არც ერთი ქვითარი არ აღმოჩნდა. შეცდომით დავწვითო, — თავი იმართლა სექციის გამგემ. მაღაზიაში ყველა სხვა პროდუქტის გაყიდვის ქვითრები შენახულია. რატომ მაინცდამაინც პირველი ხარისხის კარაქის გაყიდვის ქვითრები დაწვეს? ეჭვი არ არის, რომ გაქნილმა გაიძვერებმა ეს მაქინაციის კვალის დასაფარავად ჩაიდინეს.

ამავე მაღაზიაში 16-დან 21 აპრილამდე მიღებული იყო ძეხვი „ლიუბიტელსკაია“ 32 კილოგრამი (ფასი 22 მანეთი) და ძეხვი „ოტდელნაია“ 192 კილოგრამი (ფასი 17 მანეთი). არსებული ქვითრების შემოწმებით ნათელი ხდება, რომ აქ 17-მანეთიანი ძეხვიც 22 მანეთად გაყიდეს.

თბილგასტრონომის № 2 მაღაზიაში (დირექტორი ვ. ხელაძე, სექციის გამგე კ. მიქაძე) ქვითრების შემოწმების შედეგად გაყიდული აღმოჩნდა 332,3 კილოგრამი უმაღლესი ხარისხის კარაქი, მაშინ როცა უმაღლესი ხარისხის კარაქი ამ პერიოდში ფაქტიურად სრულებით არ იყო გასაყიდად გამოტანილი.

მარცხენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 11 მაღაზიაში (დირექტორი კ. ცეცხლაძე, სექციის გამგე ს. ხუბლაროვი) 17-მანეთიანი ყველი 20 მანეთად იყიდებოდა. ფასების დამახინჯებით გაყიდული აღმოჩნდა 167 კილოგრამი ყველი. გამყიდველმა მ. არბოლაშვილმა მომხმარებელს 4 კილოგრამ ყველში 68 მანეთის ნაცვლად 80 მანეთი გადაახდევინა. ამავე მაღაზიაში დადგენილ ვადაზე ადრე გაანადგურეს 508 კილოგრამი პირველი ხარისხის კარაქის გაყიდვის ქვითრები.

№ 20 მაღაზიის (გამგე ვ. გეორგიანი) გამყიდველმა მ. სარქისიანმა 14-მანეთიან ყველს მოათალა ღორებულების აღმნიშვნელი საქარხნო შტამპი და ჰყიდდა კილოგრამს 20 მანეთად.

№ 9 მაღაზიაში (გამგე ი. ფრანგიშვილი) მაისში მიღებული 303 კილოგრამი 14 მანეთიანი ყველი ზედმეტ ფასებში გაყიდეს. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ გასაყიდად გამოტანილი 53 კილოგრამი ყველიდან 18 კილოგრამი 14-მანეთიანი აღმოჩნდა, ფასი კი 17 მანეთი ეწერა. ასევე უმსგავსობა მოხდა თბილგასტრონომის № 23 მაღაზიაში (დირექტორი ს. მგალობლიშვილი, გასტრონომიული სექციის გამგე ა. ჩაჩანაშვილი), თბილგასტრონომის № 9 მაღაზიაში (დირექტორი ა. ნადირაშვილი).

სასურსათო პროდუქტების ზედმეტ ფასებში გაყიდვის შემთხვევები ერთეული როდია. ეს გამოწვეულია იმით, რომ მარცხენა და მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის, თბილგასტრონომის ხელმძღვანელები საკმაოდ ყურადღებას არ აქცევენ სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის სწორ ორგანიზაციას, იჩენენ დანაშაულებრივ გულგრილობას, შემარიგებლურ დამოკიდებულებას სავაჭრო ქსელში მოკალათებული თაღლითების, მაქინატორების მიმართ.

გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას უმსგავსობა სასურსათო პროდუქტების განაწილებაში. შეუწყნარებელია ის ფაქტი, რომ მარცხენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის მაღაზიებში მიმდინარე წლის ოთხ თვეში რეალიზებული 60.793 კილოგრამი პირველი ხარისხის კარაქიდან 5 სალაროებიან მაღაზიაში გაიყიდა მხოლოდ 6.288 კილოგრამი კარაქი, ხოლო №№ 71 და 112 მაღაზიებს, რომლებშიც აგრეთვე სალაროებია, წელს სრულებით არ მიუღიათ პირველი ხარისხის კარაქი.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა თბილისის მაღაზიებში სასურსათო პროდუქტების ზედმეტ ფასებში გაყიდვის ფაქტები. კონტროლის შესუსტებისა და სავაჭრო ორგანიზაციებისადმი მოუქნელი ხელმძღვანელობისათვის მკაცრად იქნენ გაკრიტიკებული მარცხენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის დირექტორი ს. ჭკუასელი, მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის დირექტორი ნ. დონაძე და თბილგასტრონომის დირექტორის მოადგილე გ. გაბედავა. მასალები სასურსათო პროდუქტების ფასების დამახინჯებათა შესახებ გადაეგზავნა პროკურატურის ორგანოებს.

ა. ხუციშა.

იზრდება ქალაქის სავაჭრო ქსელი

ყოველწლიურად იზრდება ქალაქ ფოთის სავაჭრო ქსელი. ამ ბოლო დროს ფოთვაჭრობის და საგარეუბნო მუშათა კოოპერატივის ქსელს ათობით ობიექტი შეემატა. წელს ქალაქში ჩამოყალიბდა ხაზღვაო ვაჭრობა, რომელმაც კიდევ ათობით კეთილმოწყობილი სასურსათო და სამრეწველო მაღაზია გახსნა. მაგრამ ქალაქში ძირითად სავაჭრო ორგანიზაციად მაინც ფოთვაჭრობა რჩება, რომელიც 117 საცალო ვაჭრობისა და 56 საზოგადოებრივი კვების ობიექტს აერთიანებს.

უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა სავაჭრო ქსელის გასაფართოებლად. მარტო ფოთვაჭრობის ხაზით ქალაქს შეემატა მრავალი ახალი ობიექტი, მათ შორის საბავშვო უნივერმაღი, საზოგადოებრივი კვებისა და საცალო ვაჭრობის რამდენიმე სპეციალიზებული მაღაზია.

ამ რამდენიმე ხნის წინათ სავაჭრო ქსელს კიდევ შეემატა ერთი დიდი ობიექტი — ჭაფარიძის ქუჩაზე გაიხსნა კეთილმოწყობილი სასურსათო მაღაზია.

გ. გამსახურდია,
გაზეთ „კომუნისტის“ საგუშაგოს წევრი ფოთვაჭრობაში.



სურათზე: ფოთვაჭრობის სასურსათო მაღაზიის ერთ-ერთ სექციაში.

არჩევნები სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

20 ივნისს მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ.

დილის სხდომაზე გადაიჭრა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის გაფართოებასთან დაკავშირებული მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები. სხდომამ განიხილა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ახალი წესდება, რომელიც შეესაბამება აკადემიის გაზრდილ ამოცანებს. საერთო კრებამ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად აირჩია აკადემიკოსი ა. ვ. ტოპჩიევი.

შემდეგ მოდა აკადემიკოსთა არჩევნები და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებათა საერთო კრებებზე არჩეული წევრ-კორესპონდენტების დამტკიცება. ამის შედეგად აკადემიის შემადგენლობას შეემატა 26 ახალი აკადემიკოსი და 55 წევრ-კორესპონდენტი, ცოდნის სხვადასხვა დარგის თვალსაჩინო წარმომადგენელნი. ამრიგად, ახლა მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში არის 167 აკადემიკოსი და 361 წევრ-კორესპონდენტი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობის გაფართოება მკაფიოდ გამოვლინდა აკადემიის უცხოელ წევრთა რიცხვის ზრდით. ამჟამად მათ შემატათ კიდევ 32 მეცნიერი — სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერების უდიდესი წარმომადგენლები.

საღამოს სხდომაზე გამოცხადდა არჩევნების შედეგები. დამსწრენი მხურვალე ტაშით მიესალმნენ აკადემიის ახალ შევსებას.

აკადემიკოსებად არჩეული არიან „მათემატიკის“ სპეციალობაში ლ. ს. პონტრიაგინი, „ფიზიკის“ სპეციალობაში ვ. ი. ვეკსლერი და ი. ბ. ზელდოვიჩი, „ფიზიკური ოპტიკის“ სპეციალობაში ი. ვ. ობრეიმოვი, „არაორგანული ქიმიის“ სპეციალობაში ა. ა. გრინბერგი, ვ. ი. სპიხინი და ი. ვ. ტანანაევი, „ორგანული ქიმიის“ სპეციალობაში მ. ი. ფაბაჰნიკი და მ. მ. შემიაკინი, „მაღალ მოლეკულურ შენაერთთა ქიმიის“ სპეციალობაში ს. ს. მედვედევი.

„მედიცინის“ სპეციალობაში აკადემიკოსად არჩეულია ა. ნ. ბაკულევი, „მექანიკის“ სპეციალობაში ს. პ. კოროლიოვი და გ. ი. პეტროვი, „რადიოტექნიკის“ სპეციალობაში — ა. ლ. მინცი, „თბოტექნიკის“ სპეციალობაში — ვ. პ. გლუშკო, „სსრ კავშირის ისტორიის და არქეოლოგიის“ სპეციალობაში — მ. ვ. ნეჩფინა და ბ. ა. რიბაკოვი, „მსოფლიო ისტორიის“ სპეციალობაში — ე. მ. ჟუკოვი, ო. ვ. კუუსინენი და ს. დ. სკაზკინი.

„სამართლის“ სპეციალობაში აკადემიკოსად არჩეულია ა. ვ. ვენედიქტოვი, „ენათმეცნიერების“ სპეციალობაში — ნ. ი. კონრადი, „ლიტერატურათმცოდნეობის“ სპეციალობაში — მ. პ. ალექსეევი და ა. ი. ბელეცკი.

„ლიტერატურის“ სპეციალობაში აკადემიკოსებად არჩეულნი არიან მ. ო. რიოლსკი და კ. ა. ფედინი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად არჩეულნი არიან:

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა განყოფილებაში

დ. ი. ბლოხინცევი, ს. ნ. ჟურკოვი, ე. ი. ზაბაბახინი, ბ. ნ. პონტეკორვო, ი. ვ. რიზნიჩენკო, ა. ბ. სეგერნი, ვ. ვ. სობოლევი, ი. რ. შაფარევიჩი.

ქიმიის მეცნიერებათა განყოფილებაში

ა. ნ. ბაშკიროვი, კ. ა. ბოლშაკოვი, ვ. მ. ვდოვენკო, ბ. ა. დოლგოპოლოსკი, ა. ა. კოროტკოვი, ვ. გ. ლევიჩი, ი. გ. მამედალიევი, ო. ა. რეუტოვი, გ. ა. რაზუვაევი, რ. ხ. ფრეიდლინა, ნ. მ. ემანუელი, ს. ი. იუნუსოვი.

გეოლოგია-გეოგრაფიის მეცნიერებათა განყოფილებაში

ხ. მ. აბდულაევი, ვ. გ. ბოგოროვი, ი. ს. ისაკოვი, ა. ვ. პეივე, ვ. ა. პრიკლონსკი, ვ. ი. სმირნოვი.

ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში

ბ. ლ. ასტაუროვი, ა. ნ. ბელოზერსკი.

ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილებაში

ვ. პ. ბარმინი, ა. ს. ზაიმოვსკი, გ. ვ. კისუნკო, ვ. ი. კუზნეცოვი, ს. ა. ლავოჩკინი, ვ. პ. მიშინი, ვ. ვ. ნოვოჟილოვი, ნ. ა. პილიუგინი, ა. ა. რასპლეტინი, მ. ს. რიაზანსკი, ვ. ვ. სტრუმინსკი, ვ. ნ. ჩელომეი.

ისტორიის მეცნიერებათა განყოფილებაში

ბ. გ. გაფუროვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. ნ. ტრეტიაკოვი.

ეკონომიურ, ფილოსოფიისა და სამართლის მეცნიერებათა განყოფილებაში

ა. ა. არზუმანიანი, მ. ა. დინიკი, ა. ს. რომაშკინი, ვ. ნ. სტაროვსკი, ფ. პ. ფრანცევი.

ლიტერატურისა და ენის განყოფილებაში

რ. ი. ავანესოვი, ა. კ. ბოროვოი, ვ. ი. ბორკოვსკი, ა. ნ. კონონოვი, ლ. ი. ტიმოფეევი, ნ. ტ. ფედორენკო, მ. ბ. ხრაპჩენკო.

საღამოს სხდომამ მოისმინა ორი მეცნიერული მოხსენება.

მოხსენება „ზედნადობისა და ზეგამტარობის თეორიის ძირითადი პრინციპები“ გააკეთა აკადემიკოსმა ნ. ნ. ბოგოლუბოვმა.

მოხსენება „კომპლექსური ანტარქტიკული ექსპედიციის სამუშაოთა ზოგიერთი შედეგი“ გააკეთა აკადემიკოსმა დ. ი. შიერბაკოვმა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ ამით დაამთავრა მუშაობა.

(საკდესი).

საპროტესტო დემონსტრაცია მოსკოვში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს წინ

20 ივნისს ბონში საბჭოთა კავშირის საელჩოს წინ მოაწყეს საბჭოთა კავშირისადმი მტრული პროვოკაცია. საელჩოს წინ შეიკრიბა 400-მდე ხულიგანი და პროვოკატორი, რომლებიც იმეორებდნენ შეურაცხმყოფელ ლოზუნგებს საბჭოთა კავშირის მიმართ და ქვა და მელნიანი შუშები დაუშინეს საელჩოს შენობას. წინასწარ მისული პოლიციელები ფაქტიურად არ უშლიდნენ ხელს აღვირახსნილ ხულიგნებს. ამრიგად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლებმა არ შეასრულეს ძავიანთი ელემენტარული მოვალეობა — არ უზრუნველყვეს სსრ კავშირის საელჩოს უშიშროება.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამ ფაშისტურმა პროვოკაციამ მშრომელთა დიდი აღშფოთება გამოიწვია მოსკოვში. 23 ივნისს მოსკოვის სტუდენტთა და მშრომელთა ჯგუფმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს შენობის წინ მოაწყო საპროტესტო დემონსტრაცია. დემონსტრანტებს მოჰქონდათ ლოზუნგები: „ძირს ომის გამჩაღებლები!“, სირცხვილი დასავლეთგერმანელ რევანშისტებს!“, „გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!“, „გაუმარჯოს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას!“, „ძირს ფაშიზმი!“, „გახსოვდეთ სტალინგრადი!“. მიუახლოვდნენ რა საელჩოს, დემონსტრანტებმა მოითხოვეს, რომ ელჩს მიეცა ახსნაგანმარტება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოფიციალურ ხელისუფალთა მოქმედების გამო, რომლებმაც არ უზრუნველყვეს საჭირო ღონისძიებათა მიღება საბჭოთა საელჩოს დასაცავად.

ვერ მიიღეს რა პასუხი, დემოსტრანტებმა საელჩოს შენობის კედლებზე გააკეთეს რამდენიმე წარწერა, რომლებიც სამარცხვინო ბოძზე აკრავენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბონის პროვოკაციის მომწყობ ფაშისტებს. (საკდესი).

ქალთა საესტრადო ორკესტრი

ამჟამად თბილისში საგასტროლოდ იმყოფება და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში კონცერტებს მართავს მოსკოვის ქალთა საესტრადო ორკესტრი რომან რომანოვის მხატვრული ხელმძღვანელობით.

საესტრადო კოლექტივი ძირითადად ახალგაზრდებისაგან არის დაკომპლექტებული, რომლებსაც მუსიკალური განათლება მოსკოვის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში აქვთ მიღებული. ქალთა საესტრადო ორკესტრი შედგება კლარნეტის, ფლეიტის, აკორდეონისა და სიმებიანი საკრავებისაგან.

არსებობის სამი წლის მანძილზე ქალთა საესტრადო კოლექტივმა საგასტროლოდ იმოგზაურა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, უკრაინაში, ბელორუსიაში, შორეულ აღმოსავლეთში და სამხრეთ სახალინზე, კონცერტები გამართა მესაზღვრეებისა და საზღვაო ფლოტის ნაწილებისათვის.

ქალთა საესტრადო ორკესტრის პროგრამა ძირითადად საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებისაგან შედგება. აგრეთვე შეტანილი აქვთ საზღვარგარეთელი კომპოზიტორების მუსიკალური ნაწარმოებები.

მოსკოვის ქალთა საესტრადო ორკესტრი თბილისში კონცერტებს გამართავს 26 ივნისამდე. შემდეგ გაემგზავრება საგასტროლოდ ქუთაისში, სოხუმსა და სოჭში.

* * *

სურათზე: მოსკოვის ქალთა საესტრადო ორკესტრის გამოსვლა ფილარმონიის საზაფხულო თეატრში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სომხური კინოფიღმების ფესტივალი

23 ივნისს თბილისის სამ დიდ კინოთეატრში „რუსთაველში“, „ისანსა“ და „ოქტომბერში“ დაიწყო სომხური კინოფილმების ფესტივალი, რომელიც ერთ კვირას გაგრძელდება.

ფესტივალის დღეებში თბილისელი მაყურებელი ნახავს კინოსტუდია „სომხეფილმის“ ახალ მხატვრულ ფილმებს „სიმღერა პირველი სიყვარულისა“, „ვის ეღიმის ცხოვრება“ და „დედის გული“.

ფესტივალის საზეიმო გახსნა გაიმართა კინოთეატრ „ისანში“. აქ შეიკრიბნენ ქართველი და სომეხი კინომუშაკები, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ფესტივალი გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ვ. ჭიაურელმა, ქართველ კინომუშაკთა სახელით სტუმრებს მიესალმა კინოდრამატურგი კ. გოგოძე. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სცენარისტმა მ. ჩამანიანმა.

ამავე დღეს კინოთეატრ „რუსთაველში“ მოეწყო ქართველ და სომეხ კინომუშაკთა შეხვედრა.

26 და 27 ივნისს იმუშავებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პირველი სამეცნიერო სესია, მიძღვნილი მეცხოველეობის საკვები ბაზის საკითხებისადმი.

სესია მოისმენს მეცნიერთა და წარმოების მოწინავეთა მოხსენებებს მინდვრად საკვებწარმოების ძირეულ საკითხებზე და ბუნებრივი საკვები სავარგულების რაციონალური გამოყენება-გაუმჯობესების საკითხებზე.

სესია გაიხსნება 12 საათზე საქართველოს ზოოტექნიკა-ვეტერინარიის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (ილია ჭავჭავაძის პროსპექტი, 13).

ლეონტი მროველის სახიზარ მღვიმეებში

კლდეში ნაკვეთი ნაგებობანი ერთ-ერთი ფრიად თავისებური და მნიშვნელოვანი დარგია ძველი ქართული სამშენებლო ხელოვნებისა.

საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება საერო და საკულტო დანიშნულების ასობით ქვაბთა კომპლექსი. მათ შორის ციხე-ქალაქები, ეკლესია-მონასტრები, სოფლები და სახიზარ-სამალავები. ამ ქვაბთა ერთი ნაწილი მაღალქარაფოვან კლდეში, ადამიანისათვის მიუწვდომელ სიმაღლეზეა განლაგებული. საუკუნეების მანძილზე კლდის ქანების რღვევის შედეგად მათი ფარული თუ აშკარა ძველათ არსებული მისასვლელები ხშირად სრულიად დალუპულია, ზოგან კი აქა-იქ ფრაგმენტების სახით არის შემორჩენილი.

როგორც ცნობილია, შარშან სოფელ თრეხვის (ქარელის რაიონი) ქვაბთა შორის მივაკვლიეთ ძველი ქართული ლიტერატურისა და კულტურის სახელოვანი მოღვაწის ლეონტი მროველის სამშენებლო წარწერას.

ამ ძეგლის მეცნიერული დამუშავება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში წარმოებს. აღნიშნულ ძეგლს უადრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს ამ ქვაბთა შესწავლას.

თრეხვის ქვაბთა შემსწავლელი ექსპედიცია მოაწყო საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საქმეთა სამმართველომ ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტისა და საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის მონაწილეობით. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ: გ. რამიშვილი — არქეოლოგ-ი, დ. ობოლაძე — გეოგრაფი-მთამსვლელი, გ. თოკანაძე — გეოლოგი-მთამსვლელი, მ. დანგაძე — მხატვარი-მთამსვლელი, გ. მაჭარაშვილი მთამსვლელი, ი. ზენკო— ფოტოგრაფი და ამ წერილის ავტორი, როგორც არქეოტექტორი. ექსპედიციის მუშაობის კინოფირზე გადაღებას აწარმოებდნენ ოპერატორი ო. დეკანოსიძე და ასისტენტი ი. ბარამიძე.

სპორტის ოსტატმა დ. ობოლაძემ, რომელიც ქვაბებში ასვლას ხელმძღვანელობდა, მთამსვლელების მ. დანგაძისა და გ. მაჭარაშვილის დახმარებით წარმატებით უზრუნველყო მესამე და მეოთხე კომპლექსების ქვაბთა შორის თოკის მოჯირითებისა და გადასასვლელების მოწყობა. აქ კლდის ფერდობებს შორის დღემდე შემორჩენილია უფსკრულზე გადაკიდებული მისადგომი. ამასთან რთულ პირობებში 45-50 მეტრ სიმაღლეზე თოკის გადაკიდებით კლდის თავიდან ქარაფზე მთამსვლელური ტექნიკის მომარჯვებითა და ენერგიის დიდი დაძაბვით ექსპედიციის წევრებს საშუალება მიეცათ თრეხვის პირველი და მეორე კომპლექსის ქვაბებში შეეღწიათ. ექსპედიციამ მოახდინა ქვაბთა არქიტექტურული აზომვა, ჩახატვა, ფოტოფიქსაცია და პასპორტიზაცია.

თრეხვის ქვაბები ქარაფის ერთ შრეზეა განლაგებული ოთხ კომპლექსად. ეს ქვაბები ბუნებრივი წარმოშობისაა. მათი გაფართოება-გადაკეთებით და ძირითადად ფასადზე ქვიტკირის კედლის ამოშენებით შექმნილია დროებითი საცხოვრებელ-სახიზარები, რომლებიც, როგორც ლეონტი მროველის წარწერიდან ირკვევა, 1066 წელს აუშენებიათ თურქ-სელჯუკების მიერ საქართველოს აოხრების პერიოდში რუსთის საეპისკოპოსო ტაძრის ბერ-მონაზონების თავშესაფრად.

თრეხვის ქვაბებიდან მხოლოდ მეოთხე კომპლექსია უფრო ადრეული ხანისა. სხვადასხვა ნიშნებით იგი ბერთა საცხოვრებელს უნდა წარმოადგენდეს, რაც წინასწარი მოსაზრებით VIII-IX საუკუნეებს მიეკუთვნება.

სამი დანარჩენი კომპლექსი თითქმის ერთი ხასიათისაა. ამ სახიზარი-სათვის დამახასიათებელია საშუალო და დიდი ზომის სწორკუთხედისმაგვარი სათავსოები აქა-იქ თაღებითა და სხვა დამახასიათებელი მოწყობილობით, რომელთა სპეციფიკური ნიშნები უკვე ცნობილია XI საუკუნის ქვაბებისათვის მდინარე მტკვრის ხეობის ზემო წელში. თრეხვის XI საუკუნის II ნახევრის ქვაბთა შორის, იქ, სადაც კლდის ქანებში წყალი ყონავდა, მოუწყვიათ დიდი ზომის წყალსაცავები. ამ ქვიტკირის წყალსაცავებს სწორკუთხედის ფორმა აქვთ. უფრო გვიან აქ ქვევრები ჩაუყრიათ და მარანი გაუმართავთ. ქვაბებს შორის ერთ-ერთი სამეურნეო დანიშნულების სადგომი გარშემო დაბალზე ქვიტკირით არის ამოყვანილი და იატაკთან ერთად გალესილია. ამ ქვაბის ერთ კუთხეში ქვის ხელსაფქვავია მიკვლეული. ფასადზე ამოშენებული ქვიტკირის კედელი კლდის ბუნებრივ კონტურს მიჰყვება. ეს კედელი თუმცა ფრაგმენტულად არის შემორჩენილი, მაგრამ ჩანს, რომ იგი შიგნიდანაც აქა-იქ დატიხრული იყო.

ქვაბები გვიან დროშიც ყოფილა გამოყენებული, რასაც აქ მიკვლეული კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებიც მოწმობს.

მშენებლობის ხასიათი და თავისებურებანი აშკარად მიგვითითებენ, თუ რა მატერიალურ და ფიზიკურ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული თრეხვის ქვაბთა სახიზრის მშენებლობა. და მართლაც, თვით ლეონტიც აკი ამასვე აღნიშნავს სამშენებლო წარწერაში „დიდისა მოჭირვებითა ავაშენე...“

უზარმაზარ კლდის ქარაფში აშენებული ეს თავშესაფარი თვალნათლივ ადადგენს იმ შავბნელი წარსულის სურათებს, როდესაც ქართველი ხალხი მტრის გამუდმებულ შემოსევას განიცდიდა.

გ. გაფრინდაშვილი,
ექსპედიციის ხელმძღვანელი.

* * *

სურათზე: ექსპედიციის მონაწილენი აწარმოებენ ქვაბის აზომვას.

ფოტო ი. ზენკოსი.

სპორტი

საბჭოთა მოჰიდავეების გამარჯვება

სოფიაში დამთავრდა მსოფლიო თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. საბჭოთა კავშირის გუნდმა, რომელსაც პირველი შეხვედრებიდანვე 1 სპორტსმენი გამოაკლდა, ძლიერად ჩაატარა შეხვედრები და 38 ქულით პირველი ადგილი და მსოფლიო თასი მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდა თურქეთის გუნდი (34,5 ქულა), მესამეზე — ბულგარეთის გუნდი (30 ქულა).

საბჭოთა მოჰიდავეებიდან პირველი ადგილები დაიკავეს — საიადოვმა, მუშელიანმა, სინიავსკიმ და ალბულმა.

საერთაშორისო შეხვედრები

მინსკში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება ფეხბურთში ადგილობრივი „სპარტაკისა“ და დასავლეთ გერმანიის „კონკორდიას“ გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 2:2.

* * *

ქ. გენტში გრძელდება წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაზე წარმატებით გამოდიან საბჭოთა სპორტსმენები. პირველი ორი შეხვედრა პოლანდიისა და ბელგიის გუნდებთან მათ მოიგეს ანგარიშით 4:3, 6:0.

მოსწავლეთა სპარტაკიადა

მოსწავლეთა X საზოფხულო სპარტაკიადა მიმდინარე სასპორტო სეზონის საინტერესო ასპარეზობა იყო. 23 ივნისს გაიმართა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული უკანასკნელი შეხვედრები.

შეჯიბრების დღეებში დამყარებულ იქნა საქართველოს ახალი რეკორდები, ამასთანავე ზოგიერთმა მონაწილემ სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.

ფეხბურთელთა ასპარეზობა, რომელიც რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით. კარგი მომზადება გამოამჟღავნეს აგრეთვე სამხრეთ ოსეთის მოსწავლე ფეხბურთელებმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში თბილისელებმა შეჯიბრებების დამთავრებამდე გაინაღდეს პირველი ადგილი. მათ სპორტის მეტ წილ სახეობებში პირველი ადგილები დაიკავეს.

დელისის იპოდრომზე

დელისის იპოდრომზე დამთავრდა ცხენოსანთა ასპარეზობა კლასიკურ სახეობებში, დაუშვეს საქართველოს 1958 წლის პირად-გუნდური პირველობის გათამაშების ალამი.

უკანასკნელი დღის შეხვედრებიდან დიდ ინტერესს იწვევდა მარული 8 კილომეტრზე. ამ შეჯიბრებაში ყველაზე ძლიერი იყო ქუთაისელი მხედარი ი. ეკტოკი, რომელმაც მანძილი 9 წუთსა და 32 წამში დაფარა.

უმაღლესი კლასის დაბრკოლებათა გადალახვაში გაიმარჯვა თბილისელმა ვ. ოძელაშვილმა.

საერთო გუნდური პირველი ადგილი პირველ ჯგუფში დაიკავა თბილისის პირველმა გუნდმა, რომელსაც საზეიმოდ გადაეცა გარდამავალი ჯილდო — თასი. მეორე ადგილზე გამოვიდა აფხაზეთის გუნდი.

მეორე ჯგუფში პირველი ადგილი ფოთელმა ცხენოსნებმა მოიპოვეს.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. სერგი მიხეილის-ძე ტახომიროვი დანიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქიმიის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

რედაქტორის მოადგილე
დ. სტურუა.

მსუბუქი მრეწველობის საკავშირო დაუსწრებელი ტექნიკუმის თბილისის ფილიალი აცხადებს მიღებას 1958-59 სასწავლო წლისათვის პირველ და მესამე კურსზე

ტექნიკოსთა მომზადება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამკერვალო წარმოების ტექნოლოგია, 2. საქსოვი ფაბრიკების მექანიკური მოწყობილობა და ტექნოლოგია, 3. სართავი ფაბრიკების მექანიკური მოწყობილობა და ტექნოლოგია, 4. აბრეშუმის ამოღება და გრეხვა, 5. ქსოვილის გამოყენანა, 6. ფეხსაცმლის წარმოების ტექნოლოგია, 7. სატრიკოტაჟო ფაბრიკების მექანიკური მოწყობილობა.

ტექნიკუმში პირველ კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი და უფროსი კლასებიდან გამოსულნი.

მესამე კურსზე—საშუალო სკოლის და სხვა ტექნიკუმის კურსდამთავრებულნი, უმაღლესი სასწავლებლის კურსდაუმთავრებელნი, უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებსაც სურთ სპეციალობის გამოცვლა.

უგამოცდოდ მიიღებიან ფრიადოსნები მიუხედავად სკოლის დამთავრების წლისა.

ქართულ სექტორზე

პირველ კურსზე შემსვლელნი ბბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში:
1. ქართულ ენაში (წერა, ზეპირი), 2. რუსულ ენაში (ზეპირი), 3. მათემატიკაში (ზეპირი), მესამე კურსზე: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება), 2. რუსულ ენაში (ზეპირი), 3. მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

რუსულ სექტორზე

პირველ კურსზე შემსვლელნი ბბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში:
1. რუსულში (წერა, კარნახი), 2. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), მათემატიკაში (ზეპირი).

მესამე კურსზე შემსვლელნი

1. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება), 2. მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

განცხადებები მიიღება 1 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე.

კონკურსგარეშე მიიღებიან: 1. დიდი სამამულო ომის მონაწილენი, 2. სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებულნი და 3. სპეციალობით მუშაობის 2 წელზე მეტი სტაჟის მქონენი.

შემომსვლელებმა დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინონ ან გამოგზავნონ ფოსტით: 1. განცხადება, 2. ავტობიოგრაფია, 3. განათლების მოწმობა, ატესტატი 4. სამი ცალი ფოტოსურათი, 5. მუშაობის ადგილიდან ცნობა სტაჟისა და თანამდებობის ჩვენებით, 6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 7. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 286), 8. ამონაწერი სამხედრო ბილეთიდან (ადგენენ სამხედრო სამსახურში და ომში ნამყოფი პირები).

ტექნიკუმის მოსწავლეებს წლის განმავლობაში ეძლევათ 30 დღის შვებულება (ხელფასის შენარჩუნებით) გადასაყვანი გამოცდების ჩასაბარებლად.

მისამართი: ქ. თბილისი, ბრძოლის ქ. № 124, ტელ. № 3-80-09.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს 1958-59 სასწავლო წელს სტუდენტთა მიღებას:

1. აგრონომიულ ფაკულტეტზე (სპეციალობები: ა) აგრონომია, ბ) ნიადაგმცოდნეობა და აგროქიმია, ბ) მცენარეთა დაცვა).
2. მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტზე.
3. სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკულტეტზე (სპეციალობები: ა) სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, ბ) საბუხჰალტრო აღრიცხვა).
4. სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე.
5. სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესების მექანიზაციის ფაკულტეტზე (ქართული და რუსული სექტორები). ინსტიტუტში შემსვლელნი, მათ შორის ოჯროს მედალოსნები, ვერცხლის მედალოსნები, აგრეთვე სპეციალური სასწავლებლის ფრიადოსნები და ის ტექნიკუმდამთავრებული ფრიადოსნები, რომლებიც მოხვედრილი არიან გამოშვების 5%, ბბარებენ მისაღებ გამოცდებს:

აგრონომიულ და მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტებზე
1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. ფიზიკაში და 3. ქიმიაში.

სატყეო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესების მექანიზაციის ფაკულტეტებზე
1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. ფიზიკაში და 3. მათემატიკაში.

შენიშვნა: სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის სპეციალობის რუსულ სექტორზე შემსვლელნი ნაცვლად ქართული ენისა გამოცდას ბბარებენ რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

სოფლის მეურნეობის ეკონომიკის და ორგანიზაციის ფაკულტეტზე
1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. მათემატიკაში, 3. გეოგრაფიაში, 4. სსრ კავშირის ისტორიაში.

ყველა ფაკულტეტზე შემსვლელთათვის (გარდა რუსული სექტორისა) იწარმოებს შემოწმებითი გამოცდა რუსულ ენაში.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე ა. წ. 31 ივლისამდე.

განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:
1. საბუთი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. პასპორტი, სამხედრო ბილეთი (თადარიგის სამხედრო მოსამსახურეთათვის ან მიწერის მოწმობა გასაწვევი ასაკის პირთათვის) — წარედგინება პირადად. 4. ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ 3×4 სმ). 5. საბუთი მუშაობის პრაქტიკული სტაჟის შესახებ.

საწარმოო სტაჟის დამადასტურებელ დოკუმენტად ითვლება წარმოების (დაწესებულების) მიერ შემოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან. კოლმეურნეთათვის კი ცნობა, გაცემული კოლმეურნის შრომის წიგნაკის საფუძველზე, დამტკიცებული გამგეობის მიერ. ცნობაში აღნიშნული უნდა იყოს გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა ინსტიტუტში შემოსვლის წინა ორი წლის მანძილზე თვითეული წლისა ცალცალკე, აღნიშნულ კოლმეურნეობაში შრომადღეთა გამომუშავების სავალდებულო მინიმუმის ჩვენებით. ცნობის სინამდვილე დამოწმებული უნდა იყოს რაიაღმასკომის მიერ.

6. დახასიათება სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან, ხელმოწერილი ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, კოლმეურნეთათვის — კოლმეურნეობის გამგეობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ.

დახასიათებაში ყოველმხრივ უნდა იყოს გაშუქებული პიროვნების შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობა.

7. სამედიცინო ცნობა უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის (ფორმა № 286), შევსებული სკოლის ან უბნის ექიმის მიერ.

8. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

მისაღები გამოცდები იწარმოებს ა. წ. 1 აგვისტოდან.

ინსტიტუტში ჩარიცხვა იწარმოებს 1958 წელს სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის საერთო წესების მიხედვით.

ინსტიტუტში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილ იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციების მიღება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირადღისა, მიმღებ კომისიაში 9-დან 15 საათამდე, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 29.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ 1958-1959 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღება იწარმოებს მექანიკა-მათემატიკის, ფიზიკის (ქართული და რუსული სექტორი), ქიმიის, გეოგრაფია-გეოლოგიის (სპეციალობანი: გეოგრაფია, გეოლოგია), ბიოლოგიის, ისტორიის, ფილოლოგიის (სპეციალობანი: ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, ჟურნალისტიკა), აღმოსავლეთმცოდნეობის (სპეციალობანი: თურქული ენა და ლიტერატურა, სპარსული ენა და ლიტერატურა, სემიტოლოგია, არმენოლოგია), დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის (სპეციალობანი: გერმანული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ლიტერატურა), იურიდიულ (სპეციალობანი: სამართლისმცოდნეობა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია) და ეკონომიურ (სპეციალობანი: მრეწველობის ეკონომიკა, ფინანსები და კრედიტი, საბუხჰალტრო აღრიცხვა) ფაკულტეტებზე.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 35 წლამდე ასაკისა, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სკოლა.

იმ პირთათვის, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ტექნიკური ან სპეციალური საშუალო სასწავლებელი, სავალდებულოა კანონით გათვალისწინებული სამწლიანი საწარმოო სტაჟი. აღნიშნული სტაჟი არ მოეთხოვებათ იმ პირთა, რომლებიც საშუალო სპეციალური სასწავლებლების დამთავრების შემდეგ იმყოფებოდნენ ნამდვილ სამხედრო სამსახურში, ანდა ითვლებიან გამოშვების 5%-ში.

უმაღლეს სასწავლებელში ყველა შემსვლელი ბბარებს მისაღებ გამოცდებს.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სპეციალობის ზუსტი აღნიშვნით, შემდეგი საბუთების დართვით: ავტობიოგრაფია, ატესტატი ან დიპლომი (დედანი), პასპორტი და სამხედრო ბილეთი (სამხედროვალდებულნი ადგენენ პირადად), 4 ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ 3×4 სმ. ზომისა), დოკუმენტი საწარმოო სტაჟის შესახებ (საწარმოო სტაჟის დამადასტურებელ დოკუმენტს საწარმოს ან დაწესებულების მიერ დამოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, ხოლო კოლმეურნეთათვის — კოლმეურნეობის გამგ